

საგანგებო თავმოძრაობა

1. თანამშრომლობა
2. სულიერი მშენებლობა

12

გ ე ნ ი ს ი ს ი


1938

ჩვენი თაობა

12 776

საქართველოს საბჭოთა შრომელთა
კავშირის ყოფილი თანამშრომელი

12



სახელმწიფო გამომცემლობა
თბილისი.
1988 წელი. დეკემბერი

	86
სტალინური კონსტიტუციის ორი წელი (მეთა- ური)	3
შვანებარე ბოლშევიკი (მეთაური)	5

მხატვრული ლიტერატურა

მარია ბარათაშვილი — ოცნება საბჭოეთში მო- გზაურობაზე	7
ნიკ. კობალიანი — ჩემს კომკავშირულ ბილეთს	9
ვ. ავალიანი — „შემზარავი“ ეპიზოდი	10
ალექსანდრე საჯაია — უტუ მიქავა	13
ვასილ ლომიძე — სიკვდილის გამომგონებელი პროფესორი	25
ვასილ გოჩოლეიშვილი — ბორიას სიცოცხლე	28

კლასიკური მემკვიდრეობა

ი. ს. ტურგენევი — ბირიუკი (თარგმანი ილია აგლაძისა)	29
---	----

კრიტიკა

ერ. ასტვაცატუროვი — გალაქტიონ ტაბიძე	37
აკ. გაწერელია — ერის მარია რეზარკი — „დაბ- რუნება“	45
ს. ხუციშვილი — აკაკი წერეთლის კერძო წერი- ლები	53

ლიტერატურული კალენდარი

ჯ. მებუჯე — მირზა-ფატალი ახუნდოვი	57
გიორგი კაჭახიძე — შიო მღვიმელი	59

ბიბლიოგრაფია

დ. შ. — „Молодые поэты Грузии“	62
მ. მამულაშვილი — „ჰაინრიხ ჰაინე“ ± ლექსები	63
ე. ქ. — შალვა დადიანი — „ნაპერწყლიდან“	63

პასუხისმგებელი რედაქტორი ირაკლი აბაშიძე
პასუხისმგებელი მდივანი ნიკოლოზ აბიაშვილი

წარმოებას გადაეცა 5/XII-38 წ. ჟურნალის ზომა 6½ X 11, ქალაქის ზომა 72 X 105, ფორმათა რაოდენობა 4, დასაბეჭდად ხელმოწერილია 13/II-39 წ. შეკვე-
თის № 2401. მთავლიტის რწმუნებულის № 1080 ტირაჟი 6000.

სვალინური კონსტიტუციის ორი წელი

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ყოველ შემდგომ დღესა და წელს ახალახალი-სასიხარულო შედეგები მოჰქონდა და მოაქვს ჩვენს ქვეყანაში მუშებისა და მთელი მშრომელი მოსახლეობისთვის. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ერთ მთლიან ბრიგადად შემჭიდროვებული საბჭოთა კავშირის მრავალერიანი ხალხები, ანმტკიცებდნენ რა ლენინურ-სტალინურ მეგობრობას, მთელი შეუპოვრობითა და ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობით ჰქმნიდნენ ახალ ცხოვრებას, სოციალისტურ საზოგადოებას.

ჩვენმა ქვეყანამ საბოლოოდ მოიწუშა მსოფლიო და სამოქალაქო ომებისაგან მიყენებული ჭრილობები, აღადგინა, გარდაქმნა და განავითარა სახალხო მეურნეობა ახალ, სოციალისტურ საფუძველზე, განავითარა ტექნიკა, მეცნიერება, კულტურა, აღზარდა საკუთარი კადრები, ახალი ინტელიგენცია მუშებისა და მშრომელი გლეხობის წრიდან, შექმნა ბედნიერი და სამური ცხოვრება საუკუნეების მანძილზე ექსპლოატაციისა და მონობის უღელქვეშ მგმინავი ხალხისთვის, იმ ხალხისთვის, რომელმაც სოციალისტურ რევოლუციამდე არ იცოდა სიხარული, რომლის თვალები ყოველთვის ცრემლით იყო სავსე, შუბლი სევდის ნაოჭებით ჰქონდა დაღარული, გული კი შეეპყრო მძიმე მწუხარებას. თითქმის სიცილს გადაჩვეულ მშრომელ ხალხს სოციალისტურმა საზოგადოებამ მოუტანა ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრება, უკეთესი მომავლის რწმენა და ნათელი პერსპექტივა. ყოველივე ეს აღბეჭდა დიად სტალინურ კონსტიტუციაში, რომლის მიღებიდან ორი წელი შესრულდა 5 დეკემბერს.

სტალინური კონსტიტუცია არის უდიდესი ისტორიული დოკუმენტი — „...კონსტიტუციამ განამტკიცა ის მსოფლიო-ისტორიული ფაქტი, რომ სსრ კავშირი შევიდა განვითარების ახალ ხანაში, სოციალისტური საზოგადოების აშენების დამთავრებისა და კომუნისტურ საზოგადოებაზე დანდათანობით გადასვლის ხანაში, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელ საწყისად უნდა იყოს კომუნისტური პრინციპი: „თვითეთულისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითეთულს — მისი მოთხოვნილების მიხედვით“ („სსკ. კ. პ. (ბ) ისტორია“).

სტალინურმა კონსტიტუციამ შეაჯამა და ოქროს ასოებით აღბეჭდა თავის ფურცლებზე ბრწყინვალე მიღწევები, რომელიც მოიპოვა სოციალიზმის გამარჯვების იდეამ ერთ ქვეყანაში, მან შეაჯამა და აღბეჭდა მშრომელთა ეკონომიური, კულტურული, იურიდიული და მორალური

მონაპოვარნი და ამასთან აშკარა გახადა მთელი მსოფლიოს ჩაგრულობა ხალხებისთვის, რომ „ის რაც განხორციელებულია სსრ კავშირში, საესებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა ქვეყნებშიაც“ (ი. სტალინი).

სტალინური კონსტიტუცია — ეს მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს კონსტიტუციაა. ის განსაზღვრავს დედამიწის ზურგზე პირველი სოციალისტური საზოგადოების სახელმწიფოებრივ წყობას, იცავს მშრომელთა უფლებებს, ანხორციელებს მათ ინტერესებს და წარმოადგენს ერთადერთ ნამდვილ ფართო დემოკრატიულ კონსტიტუციას მსოფლიოში.

სტალინურ კონსტიტუციაში ურყევ კანონს წარმოადგენს მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა მათი რასიული სხვადასხვაობისა და ეროვნული კუთვნილების დამოუკიდებლად, და კანონით ისჯება ის, ვინც ამ პრინციპს დაარღვევს. კონსტიტუციით მოქალაქეებს აქვთ შრომის, დასვენების, განათლების და მოხუცებულობაში, აგრეთვე — ავადმყოფობისა და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში მატერიალური უზრუნველყოფის უფლება. ამ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, მხოლოდ სოციალიზმის გამარჯვების შედეგად.

ამ უფლებებს არასოდეს, არცერთი ქვეყნის კონსტიტუციაში არ უბოვია და არც შეეძლო ებოვა გამოხატულება, რადგან კაპიტალიზმი, კერძოდ მისი ფაშიზაციის სტადიაში, ფეხქვეშ სთელავს მოქალაქის ყველა აღნიშნულ უფლებას, აჩაღებს ეროვნულ შუღლს, მტრობას, ამეფებს შიმშილს, უმუშევრობას, სასტიკად ახშობს მშრომელთა გონებრივ განვითარებას და სხვა, რის საუკეთესო მაგალითსაც იძლევიან დღეს ფაშისტური გერმანია და სხვა ფაშისტური ქვეყნები.


სტალინურ კონსტიტუციაში ოქროს ასოებით არის აღბეჭდილი ის, თუ რისთვის იბრძოდნენ ჩვენი საუკეთესო წინაპრები, ჩვენი ხალხი. კონსტიტუციაში აღბეჭდილია, რომ სისხლს, რომელიც მათ უხვად დაღვარეს, ამაოდ არ ჩაუვლია.

სტალინური კონსტიტუცია „სულიერად აიარაღებს ჩვენს მუშათა კლასს, ჩვენს გლეხობას, ჩვენს მშრომელ ინტელიგენციას. ეს წინ გვაშობძრავებს და გვიმაღლებს კანონიერი სიამაყის გრძობას. ეს განვიძტიკივებს რწმენას საკუთარი ძალებისადმი და გვრახმავს ახალი ბრძოლისათვის კომუნისმის ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად“ (ი. სტალინი).

ჩვენი ქვეყნის ისტორიული მიღწევების სტალინური კონსტიტუცია უდიდეს გამარევიოლუციონერებელ როლს ასრულებს მსრფლიოში, იგი უჩვენებს ყველა ჩაგრულს და დევნილს ნამდვილი თავისუფლების გზას, მაგალითს.

გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას, — ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურყევ სტალინურ მეგობრობისა და კომუნისმის ძლევაშოსილი მშენებლობის საფუძველს!

გაუმარჯოს მსოფლიოში ერთადერთი ნამდვილი დემოკრატიული კონსტიტუციის შემომქმედს დიდ სტალინს!



б. а. 306030

მგზნებარე ბოლშევიკი

ოთხი წელი გავიდა, რაც ფაშიზმის პირსისხლიანმა აგენტებმა ტროცკისტ-ბუხარინელებმა მოაწყეს მგზნებარე ბოლშევიკის, კომუნიზმის საქმისთვის თავდადებული მებრძოლისა და ლენინ-სტალინის პარტიის უერთგულესი შვილის სერგეი მირონის-ძე კიროვის მკვლელობა. მძიმე და აუნაზღაურებელი იყო ჩვენი პარტიისა და ხალხისთვის ამ სპეტაკი ბოლშევიკისა და კრისტალური ადამიანის დაკარგვა, იმ ადამიანის დაკარგვა, რომელიც მთელ თავის შეგნებულ ცხოვრებას წვეთწვეთად ახმარდა მშრომელთა თავისუფლებისა და კეთილდღეობის საქმეს, რომელიც შეურიგებლად იბრძოდა ყველა ჯურის მტრების წინააღმდეგ და დაუნდობლად ანადგურებდა ტროცკისტულ-ბუხარინელ ქვეწარმავლებს.

სერგეი მირონის-ძე კიროვი იყო ლენინ-სტალინის პარტიის გამოჩენილი მოღვაწე, რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი და დაუნდობელი მებრძოლი ყველა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც განიზრახავდნენ პარტიისა და ხალხის საწინააღმდეგო საქმის გაკეთებას. სამი ათეული წლის განმავლობაში იბრძოდა კიროვი კომუნიზმის საქმისთვის და ამ ბრძოლის მანძილზე იგი ყოველთვის სარგებლობდა პარტიისა და ხალხის უდიდესი ნდობითა და სიყვარულით. კიროვის სახელთან, სხვა მრავალ დამსახურებათა შორის, დაკავშირებულია ამიერ-კავკასიის მშრომელთა განთავისუფლება და ლენინის ქალაქის მიღწევები, ლენინის ქალაქის მშრომელთა მჭიდროდ დარაზმვა ბოლშევიკური პარტიის ირგვლივ.

მთელ საბჭოთა ხალხს სერგეი მირონის-ძე კიროვი, როგორც ლენინ-სტალინის პარტიის გამოჩენილი მოღვაწე და უერთგულესი შვილი, უყვარდა დიდი მშობლიური სიყვარულით. ხალხის უსასიზღვრესმა მტრებმა ტროცკისტ-ბუხარინელებმაც სწორედ ამიტომ ამოიღეს მიზანში იგი. კიროვის მოკვლით სოციალიზმის უბოროტეს მტრებს სურდათ პანიკა შეეტანათ პარტიის რიგებში, საბჭოთა კავშირში მოსახლე ხალხში, მაგრამ ისინი ანგარიშში მოტყუვდნენ. პარტიამ გამოამყვანა და გაანადგურა კიროვის პირსისხლიანი მკვლელი ნაძირალები, კიდევ უფრო შეამჭიდროვა თავისი რიგები, გაამახვილა სიფხიზლე და გაზარდა მიღწევები სახალხო მეურნეობის ყველა ფრონტზე, ყველა უბანზე, რასაც მჭერმეტყველურად მოწმობს სტალინური კონსტიტუციის მოქმედება.

საბჭოთა კავშირის ხალხებმა კი კიდევ უფრო მეტად შეამჭიდროვეს თავიანთი რიგები მშობლიური პარტიის გარშემო და კიდევ უფრო მეტად განამტკიცეს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური სიმტკიცე.

კიროვი აღარ არის ჩვენთან, მაგრამ მისი ნათელი ხსოვნა ყოველთვის იცოცხლებს მილიონების გულში, მისი, როგორც მტკიცე, უდრეკილენინელის, მგზნებარე ტრიბუნისა და ორგანიზატორის სახე და განვლილი გზა მრავალი ათეული წლების მანძილზე იქნება მაგალითი და ლამპარი ჩვენი ბედნიერი ახალგაზრდობისთვის, კომუნიზმის მშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვისთვის ბრძოლაში.

კიროვი იყო მტკიცე ბოლშევიკ-ლენინელის ნამდვილი განსახიერება. მისი სიტყვა არასოდეს არ სცილდებოდა საქმეს. კიროვს შესანიშნავად შეეძლო შეეთავსებინა დიდი პრაქტიკული მუშაობა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დაუფლებასთან, იმ მეცნიერების დაუფლებასთან, კიროვის სიტყვით რომ ვსთქვათ, რომელიც სწავლობს მოწინააღმდეგე კლასების წინააღმდეგობას ქვეყნის შიგნით და მის გარეთ. კიროვის ცხოვრება ბევრ რამეს გვასწავლის, ის გვასწავლის უსაზღვრო ერთგულებას კომუნიზმის დიადი საქმისადმი, ცოდნის სისტემატურ გამდიდრებას, მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად შესწავლას, რის გარეშეც შეუძლებელია გაბედული წინსვლა პრაქტიკულ ცხოვრებაში. მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლება გვიხსნის გზას კომუნიზმის სასარგებლო პრაქტიკული მოღვაწეობისაკენ, ამდიდრებს ჩვენს გონებას წარსული ბრძოლების გამოცდილებით, გვიმუშავებს მიზნების სიცხადეს და გვინერგავს გამარჯვების რწმენას, ქმნის თვითნებულ საბჭოთა პატრიოტისაგან სახალხო გმირს, სახელოვან მშენებელსა და მოაზროვნეს.

კიროვი იყო ნამდვილი სახალხო გმირი ბოლშევიკის განსახიერება, იგი სიცოცხლით სავსე იყო, მას უყვარდა სიცოცხლე, რომელიც წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც „ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთვის, კომუნიზმის იდეების გამარჯვებისთვის“ (ლ. ბერია).

კიროვის ხსოვნისადმი პატივისცემა გვასწავლის გვიყვარდეს და გვესმოდეს სიცოცხლე, როგორც უყვარდა და წარმოდგენილი ჰქონდა ის სერგეი მირონის-ძე კიროვს.

კიროვის სახელი და ხსოვნა იცოცხლებს, სანამ ცოცხლობს დიადო საბჭოთა ხალხი. სოციალიზმის ყოველი ახალი მიღწევა უკვდავ ძეგლს აუგებს კიროვს და დიდების შარავანდედით შემოსავს მის ხსოვნას ყოველს შემდგომ თაობებში.

მ ნ ა ტ ვ რ უ ლ ი
ე ი ტ ე რ ა ტ უ რ ე

მარია ბარათაშვილი

ოცნება საბჭოეთში მოგზაურობაზე

მომნატრებია: ლალი ველები,
დიდ მდინარეზე დარწევა გემის,
ფიქრით იმ ველებს შემოვევლები...
ვოლგას უთუოდ ვეწვევი მერმის.

მომეგებება ქალი და ვაჟი,
ხალხი გულდია, ცისფერთვალემა,
მე მათთან ამბებს ხალივით გავშლი
და ვურჩევ ჩვენსკენ გამომგზავრებას.

ენახავ ასტრახანს, ყაზანს, სარატოვს,
მწვანე ჩებოქსარს შევუღებ კარებს...
გაშლილი მხარე გრძნობებს დამათოვს,
ვიცი, მიმიღებს და შემეყვარებს.

ავეცები კიდევ ზევით ნაპირებს,
ძვირფასი გორკის ქალაქსაც ვნახავ...
იქნებ საუბარს ჩემთან აპირებს!
ჩამოთვლის ამბებს — დიდსა და ახალს.

მეც გავუღიმებ მას მაშინ კრძალვით,
ტფილისის გრძნობებს გადავცემ მრავალს,
ვეტყვი მადლობას და ისევ მგზავრი,
ლამაზი არხით მოსკოვში წავალ.

გაოცებული გავეცები არხს და
გავიმეორებ ბელადის სახელს:
ჩა უდიდესი ოცნება ახდა,
რა გიგანტური ნაგები ვნახე“...

წებდეგ მოსკოვში ვნახავ მოედანს
და კრემლის თავზე ვარსკვლავის ელვას,
ის ჩირაღდნებად ხალისს მოიტანს
და სამუდამოდ ხსოვნაში შევა.

ასე ამავესებს ხალისით კიდევ,
ყოველი კუთხე, ბიჯი ყოველი...
მე მათზე ფიქრებს ვოლგისკენ მივდეგ!
შჯერა, მგზავრობა კარგი მომელის.

ჩემს კოქავუიკულ ბილეთს

გამოგვივლია წლები ამდენი,
ერთად გავიართ კიდევ წინსავალს,
ერთად დაგვათოვს დღეთა ფანტელი,
რითაც გამიცან, — ისევ ისა ფარ
შენც ისევ ის ხარ, ის ჟრუანტელი,
როცა მიგიღე ხუთმეტწლისამა!

შევხარით მშობელ ხმელეთს, ლაქვარდებს
და სიფხიზლეზე შანთებ, მამხნევებ,
ჩემს უკანასკნელ გარიჟრაჟამდე
თუ მტრად მოსული ვინმე დავხელე, —
დაეცემ, ვიდრე ზღვარს გადმოლაზავდეს,
თავს ვისახელებ, შენც გასახელებ!

და თუ სიკვდილი ფრონტზე მომელის,
მკერდნატყვიარი ვაჟკაცად მსახეთ,
დარჩები შენ და შენი ნომერი
შეირჩენს ჩემი გმირობის სახელს, —
ამ ბილეთს ფლობდა კაცი, რომელიც
ააზღვარს ვაჟკაცურ მოკლული ნახეს.

დარჩები შენ და, შენიჭირიმე,
ეს სიხარული ჭაბუკს მაწვიე,
ხალხს უთხარ, როგორ შემიწირია
მხრისთვის ვაჟობა და სიყმაწვილე,
მისთვის ვაჟობა და სიყმაწვილე,
გმირობა როგორ გავინაწილეთ!

„შეზარაპი“ კვიზოლი

პირველად კლდის პირას ხეზე ასულმა ბავშვებმა შენიშნეს და უმაღ-
ვე უფროსებს შეატყობინეს.

ლიანდაგის გვერდით, ბილიკზე, ლურჯხალათიანი უცნობი მიდიოდა-
მოსახვევთან მოულოდნელად ორი კაცი წამოეწია, მკლავებში სწვდა,
შეიბნენ... იმ ორმა სძლია. დანამ რამდენჯერმე იელა, ლურჯხალათი-
ანი უცნობი პირქვე დაეცა. იმ ორმა გვამს თავფეხში წაავლო ხელი,
ასწია, მოსახვევთანვე ლიანდაგზე თავი დაადებინა და აჩქარებით მიიმა-
ლა. მხოლოდ დანა დარჩათ მკვლელობის ადგილზე...

კლდე ამ ალაგას მაღალია, კლდის თავზე დიდი გავაკებაა, ვაკეზე
სიმინდის ყანებია, ყანებში აქა-იქ საყარაულო, ყავარჩამპალი კარვები
მოჩანს, ან ყიდევ ჯვარედინ ჯოხზე წამოცმული ძონძი—ფრინველების
საფრთხობელა.

კლდის ძირს ლიანდაგი მიჰყვება, როცა მატარებელი ამ ალაგას გა-
ივლის — კლდე უცნაურ ხმებს გამოსცემს... ისმის გუგუნის და თითქო
ნგრევის შორეული, ბუნდოვანი ხმები. ორთქლმავლის მოლურჯო ბოლი
იხლართება კლდის ქანების ნაპირებზე ამოსულ ეკალბარდში და სანამ ზე-
მონაპირს მიაღწევდეს, ჭავსებით ქრება.

კლდის მოპირდაპირე მხარეზე—ლიანდაგს იქით ხრამი გაჩნდება.
ხრამი სავსეა ეკლის დიდრონი და წვრილი ხეებით. ხრამი ყოველთვის
დაბურულია.

ერთგან მხოლოდ საცალფეხო ბილიკი ჩასდევს. მაგრამ ამ ბილიკით
ტყეში გავლას — წინათ განსაკუთრებით — ვერაფერ ბედავდა. ტყის
უდაბურობამ შექმნა ლეგენდა, თითქო იქ ავი და უწმინდური სულები
ბუდობდნენ. მხოლოდ უკიდურესი გაჭირვების შემთხვევაში, როცა სო-
ფელში ვინმეს ურმის ლერძისთვის ეკლისხე დასჭირდებოდა, ხუთიოდე
კაცი შეიკრიბებოდა ნაჯახებით შეიარაღებული, ნაპირთან ახლო მდგომ
ხეს მიუდგებოდნენ, შემოჰკრავდნენ, ათ წუთში წამოაქცევდნენ საჩქა-
როდ—ირველივე წვრილ-ახლადნაყარ ეკლებს გასხეპავდნენ, წაქცეულ
ხეს გზას გაუჟაფავდნენ და — „გასწიეს“ დაჭიმული ძახილით ხეს ნელ-
ნელა გამოაცურებდნენ. იმ ადგილს კი სამჯერ მიაფრთხებდნენ. მკვლე-

ლებმა ამ ტყეს მიაშურეს... ბავშვებმა ისიც შენიშნეს, რომ ისინი იმ-
ტრთად-ერთი ბილიკით ჩავიდნენ დაბურულ ხრამში.

ნაშუადღევი იყო, კლდის გავაკებაზე გაშლილ სიმინდის ყანაში
ოცამდე კოლმეურნე მუშაობდა... ამათგან მხოლოდ ერთმა არ დაუჯერა
ბავშვებს...

— ტყუილი იქნება, მოეჩვენებოდათ, — ისე გამოსთქვა ეს სიტყვე-
ბი, რომ კინალამ სხვებიც დააჯერა. მაგრამ ბავშვების შეშფოთებულმა
სახეებმა და პირადმა ცნობისმოყვარეობამ სძლია დანარჩენ ცხრამეტს.

თოხები ერთ ადგილას შეაგროვეს და ჩქარი ნაბიჯით გაემართნენ
შემთხვევის ადგილის დასათვალიერებლად კლდის ნაპირისაკენ...

ყველას აოცებდა და აინტერესებდა ეს შემთხვევა. ოცი წელი ისე გა-
ვიდა, რომ სოფელში რაიმე უბედური შემთხვევის შესახებ არც ერთხელ
არაფერი გაუგონიათ. ცხოვრება მშვიდობიანად მიმდინარეობდა, თითქო
ყველა დაძმობილდა საბოლოოდ.

იმ ოც კაცში, ჩქარი ნაბიჯით რომ მიეშურებოდნენ, ყველას ეგონა,
რომ აუცილებლად მისი ახლობელი ნათესავი, ან ნაცნობი აღმოჩნდე-
ბოდა მოკლული. ყველა არწმუნებდა თავს, ყველა მწვავედ განიცდიდა
ამგვარი ფიქრებით გამოწვეულ შიშს და მოუთმენლობას, მაგრამ საბო-
ლოდ მაინც ვერცერთი ვერ ურიგდებოდა ასეთ მოსახრებებს.

როგორც კი ნაპირს მიუახლოვდნენ, თითქო ღონე მოემატათ, სირბი-
ლით გაიარეს დანარჩენი მცირე მანძილი, კლდის ნაპირზე გამწკრივდნენ,
დაიხარნენ, ხელებით თითქოს მუხლებს იმაგრებდნენ და უფრო უკეთე-
სად რომ დაენახათ, კისრებს სასაცილოდ იგრძელებდნენ.

ბავშვების ნათქვამი მართალი გამოდგა. ლიანდაგზე კაცი ეგდო, გან-
გებ მოსახვევში დაედოთ, რაღა მემანქანეს შორიდან ვერ შეენიშნა და
მოახლოვებისას კი შეჩერება ვერ მოესწრო.

მატარებელი უკვე მოდიოდა. პირველ მოსახვევს იქით დაბალი-
კლდის ნაპირებს კვამლი მოსდებოდა უკვე. კვამლის ზოლი თანდათან
მატულობდა და ახლოვდებოდა. ორთქლმავლის კივილიც მოისმა. კლდის
თავზე გაშეშებული ხალხი შეიშმუნა, აირ-დაირია. უნდა მოესწროთ
შველა, მაგრამ რომელი გზით უფრო ხელსაყრელი იყო ჩასვლა, ვერ
გადაეწყვიტათ, კლდის თავიდან სამი გზა ეშვებოდა ქვემოდ: ორი სა-
ცალფეხო, ერთი საურმე. ვილაცამ დაიძახა: — სამივე გზითო.

ხალხი უმაღლე სამად გაიყო, ვისაც საით ერჩინა, იმ გზას გაჰყვა...
მატარებელი ზრიალგუგუნით ახლოვდებოდა, ხანგამოშვებით კიოდა,
ხენეშოდა, აღმართის დაძლევა უჭირდა. ნაპერწკლებნარევე მოლურჯო,
ხან კი ბამბასავით თეთრ კვამლს სტოვებდა უკან, კლდის ფერდობების
ვასწვრივ.

სამად გაყოფილი ჯგუფიდან ვერავინ ვერ ჩაუსწრო, თუმც არავინ
თავს არ იზოგავდა. ბილიკებით მიმავალი ჩამდენიმე კაცი დაეცა კიდეც.
გზაში კენჭებზე ფეხი უსხლტებოდათ, ხელისგულები გადაიტყავეს, ორმა
კლდესაც ჰკრა თავი... მაინც არაფერი გამოვიდა.

მატარებელმა, გაიარა. ყველამ წარმოიდგინა, თუ რა ყოფაში დახვდებოდნენ ლიანდაგზე დაგდებული კაცი. როგორ მოსწყვეტდა თავს ორთქლმავლის პირველივე ბორბალი, როგორ აითრევდა ტანს დანარჩენი, დასძიებდა, ხორცის ნაფლეთებად ქცეულს დასტოვებდა, სისხლი შეღებავდა ნაპირებს, ქვიშას...

როცა მატარებელმა გაიარა და ყველაფერი გათავდა, მათაც საგრძნობლად მოუსხლტდათ მუხლებში, რადგან ადრევე გათვალისწინებული საზარელი სურათის ხილვა ყველას შიშისა და უსიამოვნების გრძნობას უღვიძებდა გულში. აღარ ჩქარობდნენ... დინჯად ეშვებოდნენ ბილიკებიდან, მეტი სიფრთხილით, ფეხი მაინც ყოველ წუთში სხლტდებოდა წვრილ კენჭებზე, ერთმანეთს სჭიდებდნენ ხელს, თავდახრილი განაგრძობდნენ გზას. ფიქრობდნენ და ნანობდნენ: იმ კაცს ვერ უშველეს, ბოროტმოქმედნი მაინც შეეპყრათ...

ისიც უკვირდათ, თუ მოსახვევამდე არა, მოსახვევში ლიანდაგზე დაგდებულ კაცის დანახვის შემდეგ მაინც რატომ არ შეაჩერა მემანქანემ... იქნებ განგებ იყო მოწყობილი და მკვლელებს გაფრთხილებული ჰყავდათ იგი?

როცა მოსახვევთან უბედური შემთხვევის ადგილს მიუახლოვდნენ, აქამდე ყველას შეშფოთებულმა სახემ, რაღაც უცნაური გაცეცხის გამოხატველი იერი გადაიკრა.

პირდაღებულნი, გამოშტერებულნი დასცქეროდნენ. ლიანდაგს, სადაც გვამის ნარჩენები ეყარა.

იმ ალაგას... დაფლეთილი ძონძებისა და ნახერხის მეტი არაფერი იყო. ამ ყოფაში მყოფთ ზურგიდან მოულოდნელად მოესმათ ხმაშეწყობილი მძლავრი ხარხარი...

ოციოდე ნაბიჯის დაშორებით, მოსახვევის მეორე მხარეს, ხუთი კაცი ისვენებდა, ლიანდაგის მარცხნივ ჩრდილში მჯდარი.

სიცხე იყო.

რეჟისორი მალიმალ იწმენდა ოფლს მსუქანი, ნაოჭებიანი კისრის ზრგვლივ.

ოპერატორი კი ახალ წერტილზე ამაგრებდა აპარატს მორიგი „შეზარავი“ ეპიზოდის გადასაღებად.

უფუ მიქაჲ

სიმღერა პირველი

მოიარეს დედამიწა და ოდიშიც გადიარეს,
ერთიც გაქრა, ორიც გაქრა, მიეფარენ ასე თვალებს...
ზღვისკენ მიყავთ მოქანცული, მეგრულ ხეებს ნაბდინებს, —
ზეცის დიდი დედოფალი, გაზაფხულის დიდი მთვარე.
მარტო დარჩნენ შეფიცულნი ვარსკვლავები ერთი მუჭა,
მარტო ელავს სამჭედლოში მოგიზგიზე ფერი რკინის,
არ თენდება და შევირდიც ფერმიხდილი თვალებს ხუჭავს,
— არ თენდება — ფიქრობს კოტიც და ასტეხავს ქვეყნად კვილს.
მოიხარა უტუ, შევირდს მხარზე ხელი მოატანა,
უთხრა: ჩემო ბიჭუნავ, გეძინება განა?
ჯერ მთვარეს არ უვახშმია,
შუალამეა მარტო.
ზოგი სიზმრის ბურანშია,
ზოგი სიზმარს ნატრობს.
ზოგ კაცს ბედის შუქი მოსავს,
ზოგსაც მწუხრი ახლავს.
ბედნიერს და უბედოსაც,
ძილი უნდა ახლა.
მართლაც, კიდევ ვის უნახავს ძილი ამისთანა,
შენც კი, ჩემო ბიჭუნიავ, გეყვინთება განა?
ზღაპარს გეტყვი, ოღონდ ქურა ძილმა ველარ შეაჩეროს.
ოღონდ ისევ ძველებურად აღუღუნე ცეცხლი, ჩემო...
— იყო თურმე მეფე ვილაც,
ხოხობს ვერსით ესროდა.
ცხრა ზღვასა და ცხრა მთას მიღმა
მისი ქება ესმოდათ.
ერთხელ, მეფემ ტახტი ბრაზით
შეაღწა ფრიალოს,

სტქვა: ღმერთი ვარ ბუმბერაზი,
ვარსკვლავებში მივალო.
სად მცალია ასე წყნარად,
ქვეყნად სახეტილოდ,
მომიტანეთ კიბე ჩქარა
მე, მთავარესთან მივალო...
გაწყრა, ხალხი დაივიწყა,
ფიქრმა სევდა შეჰყარა.
სტქვა: რა არის შავი მიწა,
რაა შავი ქვეყანა?
არ ვიხილავ მე თქვენს ღამეს,
არ შეეხვდები იალონს.
მე, ამ ქვეყნად დავიღალე, —
იმ ქვეყანას მივალო.
მაშინ მართლაც, ერთად სცადეს:
ექმნათ საქმე საზარი:
ააშენეს მართლაც ცამდე
კიბე უზარმაზარი.
აქეთ ყმები შეაწუხა,
იქით ეცა ბატონებს...
არ დატოვეს არსად მუხა
და არც წაბლი დატოვეს.
მეასე წელს ადის მეფე
მოქანცული, ცის მხარეს;
მთვარე აყრის ოქროს შხეფებს,
ილაღებს და იხარებს.
ეტრფის მზეს და მეხთა ძახილს,
გლვებს, თავგამეტებით...
ცაში დადგა შუქთა სახლი,
ვარსკვლავების სვეტებით.
დედოფალი, გვერდს რომ ესვა,
თვალი მთვარედ სახავდა,
ქვეყნად მაზე უკეთესსა
კაცი ვერას ნახავდა.
მაინც ველარ დაივიწყა,
შავი მიწა ველარა.
და მოუნდა ისევ მიწა,
ისევ შავი ქვეყანა.
მაგრამ ერთხელ უკუნ ღამით
ამოვარდა ქარი წამით,
მოიტანა საიდანღაც
პაწაწინა ნაპერწკალი;
მიეკედლა მეფის კიბეს,

დაუბერა ქარმა კიდევ.
 გაიელვა უცებ ცეცხლმა,
 აყვა კიბეს მალლა ვერცხლად.
 მნათობთაგან შევლას ელის
 დიდი მეფე, მაგრამ გველი —
 ცეცხლის გველი მისდევს კიბეს,
 და უბერავს ქარი კიდევ.
 ათიათას ალის ფურცელს
 აამღერებს ზეცა უცებ.
 ილეწება დიდი კიბე
 და უბერავს ქარი კიდევ...
 ასი წელი ერთმა წამმა, —
 ასე ერთმა ნაპერწკალმა,
 დაამსხვრია დიდი კიბე
 და ბერავდა ქარი კიდევ.
 მეფის კვალი არვინ იცის:
 ზოგი ამბობს ფერულად იქცა,
 ზოგი ამბობს ახლაც იწვის,
 ახლაც უნდა შავი მიწა.
 რი, მართლღ ვილას უნდა მეფე ამისთანა?
 რი, ჩემო ბიჭუნიავ, გეყვინთება განა?
 ჯერ მთვარეს არ უვახშმია
 მზეც, ისვენებს იქით...
 ზოგი ძილის ბერანშია,
 ზოგსაც წამლავს ფიქრი;
 სხვასაც გეტყვი, ოღონდ ქურა
 ძილმა ველარ შეაჩეროს;
 ოღონდ ისევ ძველებურად, —
 აღუღუნე ცეცხლი, ჩემო...

სიმღერა მეორე

ცხენისწყალო, შეიცოდებ შუალამეში ყმას და ლურჯას?
 ყმასაც ჰქონდა ფაცხა, მაგრამ წუხელ ცეცხლმა გადარუჯა.
 ვის დაეძებ მოყმე მწყრალი, ნეტავ, წყალო, გული გქონდეს.
 მათ სოფელი დაურბიეს, ცხენისწყალო, შეიცოდებ?

ცხენისწყალი, ავი წყალი, ზოგჯერ ტყეში გამლის ხელებს,
 ზოგჯერ ველზე, სადმე მთებზე, სადმე ხევში ჩაახველებს,
 ხან დაღლილი ველურ ქროლით, ხან გიჟი და ისევ მწყრალი,
 გულამტყდარი, ბრაზიანი, ცხენისწყალი, ავი წყალი.

თურმე გვიან, თურმე ღამით, ტყის ალქაჯი აქ, ამ მხარეს,
გადაჰკივლებს თმაგაშლილი და კეტავენ ყველგან კარებს.
და გიჟდება წყალიც მაშინ; კივის, ცეკვავს მღვრიე ღვარი.
და ჯისკისებს ტყის ალქაჯი, თურმე გვიან, თურმე ღამით.

ოი, შავო ბედისწერავ, ვინ მოაგდე წყალის წილად,
ასე გვიან, ასე წამით, ასე ტალღის გასაწირად...
ერთი ატყდა, ორი ატყდა... ზვირთი ზვირთებს დააძგერა;
ცაწი იშვევრს წყრომით მკლავებს: — ოი, შავო ბედისწერავ!

შლეგია თუ ბედის ურჩი ტალღის წყრომის გადამკიდე?..
აი ნახეთ: გასცდა ნაპირს და აფუარას გაჰკრა კიდეც.
გასცდა, გატყდა წყნარი ღამე ბილიკებზე დანაყური
და ხეებიც ქანაობენ: შლეგია თუ ბედის ურჩი?

იქნებ ავი გული უცემს, იქნებ სისხლის სევდა ახლავს;
მოუვლია დედა-მიწა და წყვედიადი დაუსახავს?
აი ნახეთ: შეაყენა სამჭედლოსთან ცხენი უცემს...
ეზოს კარიც შეჭრიალდა: იქნებ ავი გული უცემს?

სიმღერა მესამე

ელვიძება მზეს და ნიავს,
გაეცრიცა ბინდი ღამეს,
თეთრი მთები ზღვისკენ მიაქვს
ჯეჯილებს ნიაღვარებს...
და მღვიძარე ზღვაა სავსე
და იმსხვრევა ტალღა მშვიდი,
გაღვიძება, მაგრამ ასე?
აღელვება ასე დიდი?..
დილით კიდევ ბინდი იყო,
ორი ღანდი აყვა შარას...
ჩქარა, ცხენო თოხარიკო,
სამეგრელოს ბედო, ჩქარა.
გასწი, გაჰკარ, იშრიალე,
გადიმსხვრიე ცა და ვერცხლი...
უტუს თვალებს გიშრიანებს
ცეცხლი სცივია, ცეცხლი.
ხეზე თოვლი აღარ დნება,
ყოლინდარზე ფერი ქარვის...
მარტის ასე გამარტება
არ უნახავს ალბად არვის.
ორი იყო სოფლის თავში,

სოფლის ბოლოს იქცა ჯარად.
ჩქარა ხმალი და ქარქაში,
სამეგრელოს ბედო, ჩქარა.
ვინ რა იცის, საით მიდის:
აქეთ ზღვაა, იქით მთები,
სიმართლისკენ გზაა დიდი,
ჩახლართული ბილიკებით.
ჩაივლიან კირცხს დღ რუხით,
გაყვებიან ხევ-ხევ მუხრანს;
მოეწევათ სადმე მწუხრი,
ჩერდებიან, უფრო სწუხან.
შეჩერდება უტუც წამით,
ამბობს მეგრულს ქარიშხლიანს:
— გულში მქონდა ნაპერწკალი,
აჰა, ცეცხლად გამიშლია.
მოეკიდოს ზეცის კიდეს,
გადიაროს მთა და ველი.
ძმათა ბედის გადამკიდე,
ძმებისათვის სიკვდილს ველი,
ჩვენი ბედი სხვათა ტყვეა,
ვატყობ: გაწყრა, დაგვივიწყა,
ეს ტყეები ჩვენი ტყეა,
ჩვენი ზეცა, ჩვენი მიწა.
ჩვენი დების ნაწნავები
ააცეცხლებს თათრის თვალებს,
ბევრი ხუნდში ნაწვალები
ციხის ბნელში დაფართქალებს.
დაკოჟრილი ჩვენი მკლავიც, —
ჩვენი ხელი სისხლიანი.
დედის ცრემლი გულსაკლავი
და ფიქრები ნისლიანი.
აი, ზედავთ: მთას მოფენილს
ხალხით, გზაზე შავ-შავ ურმებს...
ის ალაგი, ის სოფელი
დაარბიეს წუხელ თურმე.
— კმარა! — იტყვის ხალხი სავსე, —
ზღვაა; ტყდება ტალღა მშვიდი...
გაღვიძება, მაგრამ ასე?
აღელვება ასე დიდი?
კმარა, ლხენა ყმების სისხლით,
შეაჩერეთ ყანწი წამით.
გაიელვებს ისევ ნისლში,
უტუს თვალის ნაპერწკალი.

976
12 76

წამოისხამს უცებ სისხამს,
მზე ცხრათვალად ენთება,
მოვა. ღაშეს წამოისხამს,
ღამე მოითენთება.

სიმღერა გემოთხე

არვინ დარჩა სოფელში და მარტო
ჭოტი ბაძავს შეშინებულ ქალებს...
ხან მზის თვალებს ახამხამებს მარტი,
ხან აუშვებს იანვარის ქარებს.
ღამეა და ბავშვი დედის თვალი,
გამშრალ ძუძუს თვალხუჭიად ლოწმის;
ხმის კანკალით ნანას იწყებს ქალი
და სანთელიც მიიღვეა ქოხში...

„ტყეში ბინდმა დაიბუდა, ბოში!
გესმის, ქარიც აღულუნდა, ბოში!
ღამე, თვალებს რომ აცეცებს, ბოში!
ნაბღიანი ყაჩაღია, ბოში!
იარაღი წამოისხი, ნანა!
ახალოხი შეგიკინძო, ნანა!
ნანა, მალეგასაზრდელო, ნანა!

„იქნებ უტუმ დაგიძახოს, ბოში!
ურგებელად არ დაგსახოს, ბოში!
მხარზე ხმალი გადიკიდე, ბოში!
დადიანებს მივუფრინდეთ, ბოში!..
მტერის სისხლში გაისვარე, ნანა!
შამას ხუნდი აუხსენი, ნანა!
ნანა, მალეგასაზრდელო, ნანა!

„ეს რა ქარი აღულუნდა, ბოში!
ეს როგორი ავდარია, ბოში!
მარტო რალამ გადარია, ბოში!
მოდის, ახლო მომეკარი, ნანა!
გარეთ სისა-ტურებია, ნანა!
უბედობას ჭოტიც ტირის, ნანა!
ნანა, მალეგასაზრდელო, ნანა!

სიმღერა მახუთე

ეს ნისლია ლაკადური, კოლხიდური კი არა,
მოიარა მელისჭური, ურთა გადაიარა
და სოფელი შერისხული შავად გადაინისლა...
რა ხანია შეიცხადა ჩიტმა მოსვლა დილისა.
რა ხანია შოშია და მოლადური ხმიანებს;
მზე კი არ სჩანს, არ მოსულა, მზე კი დაიგვიანებს.
მოცეკვაობს ნაკადული, კამკამა და კრიალა,
ეს წყალია ლაკადური, კოლხიდური კი არა.
ის ხეებიც ტანადები ლერწმები კი ნუ გგონიათ!
აღვებია. თანაც დები, მკლავნი გადაუკონიათ.
ნუ ჩურჩულებ, ტყეო, ასე, სოფლის შიშის ზიანად...
ეს ჯარია, უტუს ჯარი, მეფის ჯარი კი არა.
ჩაიარა კორცხელი და კირცხი ჩამოიარა...
სადადიოს კონცხებიდან ცეცხლი მღერის შრიალა,
მღერის. განა ჩონგურია, ჩონგურები სად არის!
ეს ხუნდების ჟღარუნია და ფიქრების ავდარი.
მიდიან და იმღერიან, გზამშვიდობის, დელი-დელა!
იმღერიან ბიჭები და აღარ უნდათ ძველი ძველად:
დელი დელა! სამეგრელოს ფაცხებო, და დელი-დელა!
გული გულთან, ბიჭებო, და დელი-დელა!
ძახილი და ხმალი ხელში, დელა!
ჩიქოვანის სასახლეში, დელა!
წუხელ ცეცხლი არ ცხრებოდა, დელა!
დელი-დელა! სამეგრელოს ფაცხებო, და დელი-დელა!

სიმღერა მემეჰვსე

უტუს ჯარმა ტყვე ქალები, გამოსტაცა თათრის ნავეს,
სოფლის თავში შეხვდათ მთვარე, ქალებს შავით მონართავებს,
გაეცინა მაშინ მნათობს და სიცილიც ჰყვა ქალთა
და შეჩერდნენ სოფლის თავში, ისაუბრეს სოფლის ქართან:

„ქარო, ჩვენთან აბა რა გაქვს საამაყო და სადაო,
გაზაფხულის ყვავილები მოგვაყარე დასადაო:
ჩვენ გიამბობთ უტუს ამბავს: სად ვიხილეთ და სადაო
და ვამთხვიოთ ბაგე-ბაგეს ისე, როგორც დასა დაო.

კარგი არის ვაჟი ვინმე, უტუს ჯარში დაიგულო,
შეიყვარო მისი ლანდი, შენც იომო და იგულო,
კარგი არის შენი ფაცხაც შენი ძმა და დაი გულო.
კარგი არის მზე და უტუ, თვითონ მზეც ხომ ის არიო.
ღამით მთვარეს შეათრთოლებს მისი თვალის ისარიო.

მთვარევე, გარს რომ გახვევია მეწამული ვარდებიო,
გვარქვი: მთიდან ამოსული ზღვაში რატომ ვარდებიო?
ჩვენც იმ ზღვიდან მოსულნი ვართ, სამშობლოში ვართ დებოი,
გაზაფხულის მერცხლები ვართ, ცაზე მონაგარდებიო.

მთვარევე, თვალი გაახილო, იხამხამო და იხარო,
ხან ვარსკვლავებს გაუღიმო, ხან კი ჩვენსკენ დაიხარო.
პირბადრი და მოღიმღამე შენც ხომ ჩვენი დაი ხარო?
ჩვენს ნაფიქრალს შავზღვის პირად აღარ გეტყვის განა ქარი...
გული მოგვაქვს ავღრიანი, ძველი ფიქრით განაქარი.

*
* *

ასე იყო იმ გაზაფხულს, მზეს არ ზღვედა მწუხრი ჩრდილად
ბევრმა ვარდმა იყვავილა, გაიხარა ბევრმა დილამ;
იგრძნო ნამით სველი ველი, შუაგულზე დადგა მყარი:
მუხა დიდი, ძველის-ძველი, უფურცლო და რტოდამტყდარი.

რა ყოფილა ფრთების გაშლა, რა ყოფილა უტუს თვალი?
გაღვიძებულ ხალხის ძალა; ძალა ერთი ნაპერწკალის?
აღარ ლეწდა ქარი ატამს, აღარ სჭექდა ზეცა რისხვით,
ფოთლებს ფერი მოემატა, მზეს ჯანი და მიწას სისხლი.

უტუ მიქა იყო მაშინ, ეს ამბები ვინ არ იცის?
ლამით სწვავენენ სასახლეებს ძმები ხატთან შენაფიცი.
შეხაროდნენ ბედის ციმციმს და მღეროდნენ ლამით ქარში...
ეს ამბები ვინ არ იცის: უტუ მიქა იყო მაშინ.

სიმღერა მეზვიდე

შავი ყავდა ცხენიც თურმე (შუბლზე ჟღალი ჰქონდა რიგად);
შავმაჩაბალახიანმა შუკა ჩაითოხარიკა.
სოფლის ბოლოს, ბინდის ჟამად, შეეფეთა თურმე ურმებს,
ამბობენ, რომ შავი ეცვა, შავი ყავდა ცხენიც თურმე.

ზოგი ამბობს: უცხო არის, ბევრმა თითქოს იცნო კიდეც.
შავი წვერულვაში ჰქონდა, დამბაჩა და დაშნა კიდეც;
ქარი იყო, ჩოხის კალთებს აქანებდა ურჩი ქარი,
ზოგმა მარტო ცხენი იცნო, ზოგი ამბობს: უცხო არის!

გროვდებიან ეზო-კართან, იყრებიან წყვილად გზაში:
მკლავგაშლილი მოხუცები, დედაკაცნი თიმების გაშლით;
ბინდის ჟამად, თემშარაზე კვლავ ლანდები ჩნდება ქალთა;
ბიძოდიან, ფუსფუსებენ, გროვდებიან ეზო-კართან.

ამბობენ, რომ ასე სთქვაო შავმა კაცმა სოფლის ბოლოს, —
უტუს ჯარი დაიფანტა, მე დავბრუნდი სახლში მხოლოდ;
თვითონ უტუ მეფე არის, დიდი რუსის ტახტზე დაობს...
არ უნახავთ მთქმელი, მაგრამ ამბობენ, რომ ასე სთქვაო.

და ვინ იცის, ვინ რას ტირის, ვინ რას იტყვის, რას იფიქრებს?!
კაცმა, შავმაჩოხიანმა ჩაიარა შუკა იქნებ:
იქნებ, უთხრა სოფლის ქალებს და იბრუნა მთისკენ პირი...
ტირილია: სახლში, გარეთ და ვინ იცის, ვინ რას ტირის?

გროვდებიან ეზო-კართან, იყრებიან წყვილად გზაში:
მკლავგაშლილი მოხუცები, დედაკაცნი თმების გაშლით.
შებინდდება, თემშარაზე კვლავ ლანდები ჩნდება ქალთა...
მიმოდიან, ფუსფუსებენ, გროვდებიან ეზო-კართან.

სიმღერა მირკვი

მზე ჩავიდა და ფიცრული
ოდა შთანთქა სიშავემ;
ვარსკვლავები გაფიცულნი
ცაზე წამოიშალნენ.

ვარსკვლავებო, პატარებო!
უტუს ჯიბით გატარებთო...
რას უამბობთ მისან ქალებს, —
სოფლის გზაზე მოკანკალეთ,
ვარსკვლავებო, პატარებო!

უტუ მიქა დღეს მარტოა,
აივანზე დადის ბრაზით;
ლაფარასთან ატმის რტოა,
ჩიკულებზე ყლორტი ვაზის.
უტუ მიქა დღეს მარტოა.

ეფინება თვალზე ჩრდილი,
საფეთქვლზე ფერი ქარვის...
უტუ, ასე მოწყენილი
არ უნახავს ჯერაც არვის.
უთვალთვალებს ყველას იქვით,
აღარ სჯერა ახლა მათი...
გვიან ღამით ვილაც ბიჭი
მოუყვანეს მსჯავრისათვის.

იგი თითქოს ბედნიერი
იდგა, ჯილდოს მოელოდა;
თვალი ჰქონდა იისფერი,
წაბლისფერი თმები ჰქონდა.
ის, მიჯნური უშიშარი,
ავგული და ურჩი ხატის...
მიატოვა თურმე ჯარი,
ერთი გოგოს გულისათვის.
უყვარს, აბა და რა უყოს?
მოელოდეს სიკვდილს თუნდაც.
მისთვის უნდა დაიღუბოს,
და სიცოცხლეც მისთვის უნდა.

უტუმ ჭაბუკს არა უთხრა,
გადიმსხვრია ხელში ჯოხი.
მიიჭიდა მკლავი გულთან,
ჩაიბღუჯა ახალოხი...

სთქვა: დღეს ცასაც ღალატს ვატყობ,
ფარსკვლავებიც სხვაგვარ ელავს;
ლაჩარისთვის ხატი მარტო,
ღალატისთვის ტყვია ყველას.

და ჩაღუნა ისევ თავი;
და ვინ იცის რას იფიქრებს?
იქნებ იგრძნო რამე ავი?
მოელოდეს რასმეს იქნებ?

მაგრამ უტუს შუბლის ბურანს
გაშლის უცებ ნაპერწკალი.
და ისევე ძველებურად
გაიელვებს ღიმი წამით.

იტყვის: ძმებო, სიყვარული
ულეველი ფიქრის ზღვაა.
სხვაა მაინც კაცის გული.
ქალის გული უფრო სხვაა.
ვაჟის გული მკერდში ბორგავს,
ბრძოლა იცის, იცის ჯობნა;
ქალის გული თევზს თუ მოგავს,
უწყალოდ რომ დაიხრჩობა.
დაიხრჩობა, იფართქალებს
და მონახავს წყალსაც ოდეს...

გმირი ვაჟი უყვართ ქალებს,
ლაჩარი კი არასოდეს.
სიყვარული, ცას უქია,
მიწა გადაურევია...
სიყვარული მზის შუქია,
ცვარ-ნამი რომ ურევია.
ვინ გაბედავს ხელი ახლოს,
ხუნდებით ვინ დაამძიმებს,
ზეცაში აქვს სამოსახლო,
ქვეყანაზე დაცემციმებს...

იმავე ღამით უფრო გვიან,
ქარი იყო და კენესოდა.
ხმა მოქონდა შორით ნიავს,
უტუს ძილში ჩაესმოდა.
სიზმრად ნახა ბალღი ჩვილი,
სისხლიანი არწივის ტყვე...
და მეგრული ქარი, დილით
აბოდებდა რუსულ სიტყვებს.
ენგურ წყალიც რეკდა ჯავრით:
ლეწდა, ტყე-ველს მოჰკიოდა...
მოდოდა მეფის ჯარი.
მთიდან ნისლიც მოდიოდა.

სიმღერა მესხრე

თვალებს, ცქერით გათანგულებს, აღარ უნდა ღამე რული;
მიმქრალ კერას ჩასხურჩულებს დედა თვალებდანამული:
— უტუ, მცივა, ცეცხლი მინდა, — უტუს ცეცხლი მიაქვს გულით.
მიაქვს შავი ბორკილები, მოძმეების ბედი მიაქვს;
ძმები გადათოკილები, მოელიან დილის ნიავს.
მოელიან, იქნებ ნახონ მზე შემდგარი მთაზე წამით,
ციმბირისთვის შეინახონ ზეცის თითო ნაპერწკალი.
მოელიან, იქნებ ნახონ, არ ენთება მაინც დილა;
ჩამოსულა ზეცა ახლო, ზეცა ღრუბლებს დაუჩრდილავს.
უტუ ფიქრობს: — ეხ, ღრუბლებო, კვლავ მოზღვავდით ცაზე შავად;
ქარო, ავად ატეხილო, იშრიალე ქარიშხალად;
შავო ნისლო, ფარფატებდე მთიდან მთამდე სუბუქ ფრთებით;
შავ პირბადეს იბურავდეს აჩონჩხილი თეთრი მთებიც, —
მზე ამოვა და მოიტანს ციურ ცეცხლის ნიაღვარებს
და წაგლეკავთ, უდღეურო, შავო დროო, შავო ღამევე...
მიყავთ, უკან იხედება, არ ენთება მაინც დილა.
ჩამოსულა ზეცა დაბლა, ზეცა ღრუბლებს დაუჩრდილავს.
მიყავთ, უკან იხედება, მიდის, ისევ ცისკარს ნატრობს...
უკან ნისლი მიშრიალებს, უკან ქარი კივის მარტო.

ესე სათქმელი პატარა,
 რითმებით გადახლართული,
 ენგურმა გამომატანა, —
 თქვენთვის მემამბნა ქართულით.

ჩვენებურ ტყე-ველს ნასისხლარს
 ბევრი დავტყუე შაირი,
 ბევრიც ნიავემა მასესხა
 ლექსები ნაირ-ნაირი.

დღეს რა კარგია ლაკადა,
 მთა-ველის აბიბინება.
 სიცოცხლე წყაროს ნაკადად
 შოდის და მოედინება.

ზეცა რომ გაირიჟრაყებს,
 მზე სხივებს გადმოასხურებს...
 შეხედეთ, ვაყებს გიჟმაყებს!
 შეხედეთ მეგრულ ასულებს!

მღერიან, მოიმღერიან,
 აფროზობენ ულრანს მძინარეს;
 მთას ყელი მოუღერია,
 ველებს შეჰკივის მდინარე.

ამბობენ: უტუც ელოდა
 მზე, და ვერ ნახა, ველარა...
 მზე აღვა საქართველოდან,
 გადააშუქა ქვეყანა: —

მიწოდან ზეცის კარამდის
 და გულში შემოტანილი, —
 ჩაუქრობელი მარადის
 სტალინი, ჩვენი სტალინი!

სიკვდილის გამოგონებელი პროფესორი

ზის, ფიქრობს. ირგვლივ კლდეები სდუმან.
გარეთ მომწვანო ეზო მღუმარებს.
ხან თავს შეარხევს და მედიდურად
გაეღიმება მაგრამ უმაღვე

ჩაბნელებიან თვალები ისევ,
დაეკიდაბათ სევდის სიმძიმე;
ღია ფანჯარა გაჰყურებს ნისლებს,
ნისლიც მიწასთან ახლოს ციმციმებს.

გასცდება კარებს, გახედავს ზემოთ,
სადღაც გამოსჩანს სივრცის კრიალი;
ზხივდათენილი მზე აღარ მზეობს,
ცა არის მღვრიე, იალკიალი.

ზის გერმანელი და შუბლის ღარებს
თითქოს ეტყობათ ბედზე მღურება,
ვერ მოიგონა, ვერ დაამთავრა
შხამი და მთელი უბედურება.

დრო გადის ასე, ჯერ ვერ იალა
ამ „საქმიანი“ კაცის გონებამ, —
მას დაავალეს,
მან დაივალა
სწრაფი სიკვდილის გამოგონება.

სიძნელე მაინც ვერ შეაშფოთებს,
გული მუშაობს გაუბზარავი;
ფიქრობს, დაეძებს, რომ ველურ ფრონტზე
კვლავ გააჩაღონ ელექტა მზარავი.

დღეს მიაღწია თითქოს შესავალს,
რალაც გამოკრთის საქმის მხარეზე.
კოდნა, კაცობა ნუ თუ ესაა,
რომ სიცოცხლისთვის სიკვდილს დაეძებს?

ახლა სიდინჯით მიჰყვება სურვილს,
ხელები მშვიდად დაიწყო მკერდზე,
ხედვას ქიმიური წამლების სუნი
და თავის ქალა „ამშვენებს“ კედლებს.

ხან ხმას გაკმიდავს და შემდეგ უცბად
წამოვარდება (ფიქრი მიძიმეა),
ხან დაახველებს წიგნს გადაფურცლავს,
ხომ არ ლალატობს სწავლულს ქიმია?

რალაც სითხეებს აზავებს, შემდეგ...
სინჯავს სინჯარას და ცეცხლს უკიდებს...
ტაში შემოჰკრა, მიაგნო შედეგს...
ისევ დადუმდა და დაუკვირდა.

* * *

იწყება ღამე, ღრუბლების ნაქრებს
არღვევს მთვარე და თვალებს აცეცებს,
იგი დახურავს გაღებულ სარკმელს,
რომ გამარჯვება არსად გაექცეს.

ოცნების ფრთები ცამდე აღიან,
(ფრცელი წიგნები ავსებენ თაროს),
შემდეგ იძინებს, ხვალ რომ აღრიან
„საქმეს“ შეუდგეს და მოათავოს.

და როცა ღამე გადაილაღა,
პირველი სხივი დაეცა ფანჯრებს,
იგი წამოდგა, მივიდა ალაგს
და შეამოწმა ნაზავი ასჯერ.

— ჩინებულია! ქვაც არ დარჩება,
აქვს უდიდესი შხამის სიმწვავე,
ფრონტზე ოდნავი კვამლის გაჩენა
ასიათასებს მოსპობს მიწაზე.

იკვებნის: ცოდნა ამოხსნის ფიქრებს,
უძლევი არის კაცის გენია, —
გასინჯა: ძალღი დაეცა იქვე,
საწყალს წკმუტუნიც არ დაცდენია!

მაგრამ აფეთქდა სითხე მაშინვე,
ირგვლივ ჩაბნელდა ღამისებურად
და პროფესორმა იწყო საშინლად
ღრიალი, კვამლმა როცა შებურა.

სცადა გაქცევა... დავარდა უცებ,
სხეულზე თეთრი ჩირქი სდიოდა,
შემდეგ თანდათან მოედო გულზე
და აფართხალდა სასიკვდილოდა.

სიცოცხლე ახლა რომ შეენანა,
თვალეებზე გაჩნდა ცრემლთა კამარა,
სთქვა: თავო, შენმა აღმოჩენამა
შენვე მოგაღრჩო, დაგასამარა!..

გორიან სიხოსხლე

ბორია მოგილევინი იყო ერთადერთი კომკაეშირ-
ლი გმირულ ჩელუსკინელთა მსხვერპლისა.
ო. შმიდტი

მღეროდა მგოსნის ვარდზე მჯდომი ნაზი ბულბული
შმიდტელი გმირის სამწუხარო ეპიურ ამბავს.
დიდხანს ვუსმენდი მღუმარებით სულგანაბული...
ო, ეს სიმღერა საოცნებო ჰანგებში მამამს!

ვერ მოგერია მოულოდნელ ყინულთა ნგრევა,
თუმც გულში ჩაგრა სიამაყის სიტყვა უთქმელი...
ო, მაშინ თოვდა,
ახლა რა მშვიდი მზიანი დღეა,
კიდან არ ცვივა დანისლული თოვლის ფანტელი!

დედის რძესავით ტკბილი არის და თან მღელვარე
შენზე წვიქრები და მოგონება...
ო, როგორ გეტრფის, როგორ გიმზერს მზე მოელვარე,
თითქოს მინდაო შენი ნახვა, დამეგობრება.

დღეს ჩემს ბაღში იმედებით სხივდაფრქვეული
შენს სადიდებლად სამაისო ვარდი ამოვა,
გმირთა თაობა შეგინახავს, არ ხარ ეული,
შენი სიცოცხლე უკვდავი და სამუდამო...

გულს გიაღმასებს სიჭაბუკის ბროლთა ფიქალი
და ჩრდილოეთის დათოვლილი ყინულის ღამე, —
შენი გმირული თავდადება და ნაფიქრალი
კიდევ გვიამბობს აღტაცებას ასი წლის გარე!

ქლასიკური მემკვიდრეობა

ი. ს. ტურგენევი

ბ ი რ ი უ კ ი

ნადირობიდან ვბრუნდებოდი, სალამოხანს, მარტოდ-მარტო, მსუბუქ ეტლით. ჩემი კეთილი, ჩორთსმოყვარული, ჭაკი ცხენი მხნედ მიბოლდა მტვრიან გზაზე. ათასში ერთხელ თუ ჩაიხვიხვინებდა და ყურებს შეატოკებდა. დაღლილი ძაღლი, თითქოს ეტლის უკანა თვლებზეა მიბმულიო, ერთი ნაბიჯით არ შორდებოდა ამ თვლებს. ცა ილუშებოდა. პირდაპირ, ტყის მეორე მხარეს, უზარმაზარი ღილისფერი ნისლი გაწოლილიყო; ჩემსკენ მოჰქროდნენ და ჩემს თავზე დანავარდობდნენ გრძელი ლეგაღრუბლები; ტირიფები შემფოთებულნი ტოკავდნენ და შრიალებდნენ. შეხუთული სიციხე უეცრად ნესტიანმა სიცივემ შესცვალა; ჩრდილები სქლად გაწვნენ მიწაზე. სადავის ღვედებით ცხენებს შეეუტიე, ხრამში ჩავეშვი, ძეწნარით შემოსილი მშრალი ხევი გადავლახე, აღმართი ავიარე და ტყეში შევედი. გზა თხილნარის ხშირ ბუჩქებში მიიკლაკნებოდა. უკვე ყველაფერი წყვიდადში იყო გახვეული. გაჭირვებით მივიწვედი წინ. ეტლი ასწლოვანი მუხებისა და ცაცხვების მაგარ ფესვებზე ხტოდა. ამ ფესვებს გარდი-გარდმო გადაეჭრათ ღრმა ღრანტეები — ურმის თვლების ნაკვალევი. ცხენმა ბორძიკს უმატა. უეცრად მძლავრმა ქარმა დაჰბერა, ხეები აგუგუნდნენ, გაისმა მსხვილი წვეთების შხაპული ფოთლებზე, ძლიერად იელვა და ღვართქაფი წამოვიდა. კოკისპირულად ასხამდა. ნაბიჯით გავემართე, მაგრამ მალე იძულებული გავხდი შეეჩერებულიყავ: ცხენი ღრმად იფლობოდა და წინ ვერაფერს ვხედავდი. როგორც იყო, გაშლილ ბუჩქს შევაფარე თავი. წელშიმოხრილი და სახეშეხვეული ველოდი გადაღებას, რომ უეცრად ელვის შუქზე მაღალი ფიგურა დავინახე, იქვე, გზაზე. დვალები დავძაბე — და იგივე ფიგურა, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ჩემი ეტლის გვერდით იდგა.

— ვინა ხარ? — მომესმა მკვეთრი ხმა.

— თვითონ ვინა ხარ?

— მე აქაური ტყისმცველი ვარ.

ჩემი გვარი დავასახელე.

— გიცნობთ. შინ მიბრძანდებით?

— შინ მივდივარ. მაგრამ ზომ ხედავ, რა ამინდია!

— დიად, ღვართქაფია, — მომივთ ხმამ.

თეთრმა ელვამ თავით ფეხამდე გააშუქა ტყისმცველი. იმავე წუთს მოისმა ქუხილის მჭექარე და მოკლე ხმა. წვიმა გაორკეცებული ძალით წამოვიდა.

— მალე არ გადაიღებ, — განაგრძო ტყისმცველმა.

— რას იზამ!

— სჯობს, ჩემს ქოხში წაგიყვანოთ, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმო-
სთქვა ტყისმცველმა.

— მიყავ სიკეთე!

— ბრძანდებოდეთ მანდ, ეტლში.

ცხენის თავთან მივიდა, აღვირს ხელი წაავლო და ეტლი დასძრა. გავუდექით გზას. ეტლის ბალიშს ჩავებლაუჭე, რადგან ეტლი ისე ქანა-
ობდა, „ვით ნავი ზღვაში“. თან ძაღლს ვეძახდი. საწყალი ჩემი ცხენი,
ძლივს მიატოვებდა ღრმა ტალახში, ფეხები უცურდებოდა, ბორძიკს
თავს ვერ აღწევდა. ტყისმცველი წინ, ხელნასთან, მარჯვნივ და მარცხ-
ნივ ქანაობდა, თითქოს მოჩვენებააო. კარგა ხანს მივდიოდით. ბოლოს,
ჩემი გამცილებელი გაჩერდა.

— აი ჩემი სახლიც, ბატონო. — ჩაილაპარაკა წყნარი ხმით.

ჭიშკარმა გაიჭრაალა. რამდენიმე ლეკვმა მწყობრად შეჰყეფა. თავი
აეწიე და ელვის შუქზე ღობითშემოვლებულ ფართო ეზოს შუაგულში
პატარა ქოხი დავინახე. პაწაწა ფანჯრიდან მბუტუბუვი შუქი გამოკრთო-
და. ტყისმცველმა ცხენი პარმალამდე მიიყვანა და კარები დააკაკუნა.

— ამ წუთში, ამ წუთში! — გამოეხმაურა შიგნიდან ბავშვის წვრილი
ხმა, შემდეგ მოისმა ფეხების ბაგა-ბუვი, ურდული ახმაურდა, და ზღურ-
ბლზე ფარნით ხელში გამოჩნდა თორმეტიოდე წლის გოგო, პერანგის
ამარა, რომელზედაც შალის ნაგლეჯი ჰქონდა შემორტყმული.

— მიუნათე ბატონს, — უთხრა ტყისმცველმა: — თქვენ ეტლს ფარ-
დულში დავდგამ და გეახლებით, — მომმართა მერე მე.

გოგომ თვალები შემომანათა და ქოხში შებრუნდა. უკან გავყევი.

ტყისმცველის ქოხი მჭვარტლიანი, დაბალი და ცარიელი ოთახისაგან
შესდგებოდა. არა სჩანდა შიგ არც საწოლები, არც ტიხრები. კედელზე
დაგლეჯილი ტყაპუჭი ეკიდა. მერხზე ცალსულიანი თოფი ეგდო, კუთ-
ხეში ჩერების ხროვა ეყარა, ლუმელთან ორი დიდი ქოთანი იდგა. მაგი-
დაზე კვარი ენთო, მისი ალი სევდიანად ბუტუბუვდა, ხან ავარდებოდა,
ხან დაეშვებოდა. შუა ოთახში, გრძელი ლატანის ბოლოზე აკვანი ეკიდა.

გოგომ ფარანი ჩააქრო, პატარა სკამზე ჩამოჯდა, ერთი ხელით აკვნის
რწევას შეუდგა, ხოლო მეორეთი — კვარის გასწორებდა. ირგვლივ მიმო-
ვიხედე — გულმა შემომკვნესა: საამო არ არის ღამე გლეხის ქოხში
შესვლა. აკვანში ბავშვი მძიმედ და აჩქარებით სუნთქავდა.

— განა მარტო ხარ აქ? — ვკითხე გოგოს.

— მარტო ვარ, — მომიგო ოდნავგასაგონი ხმით.

— ვისი შვილი ხარ, ტყისმცველისა?

— ტყისმცველისა, — ჩურჩულით ჩაილაპარაკა.

კარმა გაიჭრაჭუნა, და თავდაღუნულმა ტყისმცველმა ზღურბლზე გადმოაბიჯა. იატაკიდან ფარანი აიღო, მაგიდასთან მივიდა და პატრუქს მოუკიდა.

— ალბათ, შეჩვეული არა ხარო კვარს, — ჩაილაპარაკა, თავი შეანძრია და კულულები შეათამაშა.

თვალი შევაღვლე. იშვიათად შევხვედრივარ ასეთ ვაჟკაცს. მალალი ტანისა იყო. მხარ-ბეჭიანი და საგანგებოდ ჩამოსხმული. სველი პერანგიდან მკვეთრად მოუჩანდა ძალოვანი ძარღვები. შავი ხუჭუტა წვერი ნახევრად ჰფარავდა მის მკაცრ და ვაჟკაცურ სახეს; გადაბმულ წარბებ ქვეშიდან გაბედულად გამოიყურებოდნენ ოდნავ მომცრო თაფლისფერი თვალები. დონინჯი შემოიყარა და ერთ წუთს ჩემ წინ გაჩერდა.

მადლობა გადავუხადე და სახელი ვკითხე.

— თომას მეძახიან, — მომიგო, — ხოლო მეტსახელად — ბირიუქს *).

— მაშ თქვენა ხარო ბირიუქი?

და გაორკეცებული ცნობისმოყვარეობით შევხედე. ჩემი ერმოლანისა და სხვებისაგან ბევრი რამ გამეგონა ტყისმცველ ბირიუქზე, რომლისაც ახლო-მახლო გლეხებს ისე ეწინოდათ, როგორც ცეცხლისა. მათი სიტყვით, ჯერ არავინ მოსწრებია თავისი საქმის ასეთ ოსტატს: „ფიჩხი რა არის, ერთ შეკვრა ფიჩხსაც ვერ დასცინცლავ; რა დროც უნდა იყოს, ზვიტ შუალამისას მეზივით დაგატყდება თავს, და ნუ იფიქრებ მასთან შებმას — ძალზე ღონიერი და მარდია... თანაც ვერაფრით ვერ მოიძყიდი, ვერც არყით, ვერც ფულით, არაფერი არ გაგივა მასთან. არა ერთხელ განიზრახეს კეთილმა ადამიანებმა მისი თავიდან მოშორება, მაგრამ ვერაფერი ვერ გააწყეს“.

აი რას ამბობდნენ მეზობელი გლეხები ბირიუქზე.

— მაშ შენა ხარ ბირიუქი? — გავიმეორე: — მე ძმავ, ბევრი რამ გამეგონია შენზე, ამბობენ, არავის არ აჭაჭანებ ტყეში.

— თანამდებობას ვასრულებ, — მომიგო მკვახელ: — მუქთად არ ვჭამ ბატონის პურს.

ბირიუქმა სარტყლიდან ნაჯახი გამოიძრო, იატაკზე დაჯდა და კვარის პობა დაიწყო.

— გეტყობა, დიასახლისი არა გყავს? — შევეკითხე.

— არა მყავს, — მომიგო მან და ნაჯახი მძლავრად აიჭნია.

— მოკვდა თუ?

— არა... ჰო... მოკვდა, — დაუმატა და პირი მიიბრუნა.

მე გავჩუმდი. ბირიუქმა თავი ასწია და შემომხედა.

— გამექცა, გზად გამვლელ კაცს გაჰყვა“ — სთქვა და მწარედ გაიღიმა.

გოგომ თავი ჩაღუნა. ბავშვს გაეღვიძა, ატირდა. გოგო აკვანთან მივიდა.

*) ბირიუქს ორლოვის გუბერნიაში მარტოხელა და გულჩათხრობილ კაცს ეძახიან.

— აჰა, მიეცი, — უთხრა ბირიუკმა და ხელში ჭუჭყიანი საწოვარი მიიჩეჩა. — ამასაც თავი მიანება, — განავრძო მან ნახევარი ხმით და ბავშვზე მიმითითა.

მერე კარებთან მივიდა, შეჩერდა და მობრუნდა.

— თქვენ, ალბათ, — მომმართა: — ჩვენ პურს არ მიირთმევთ, მე კი პურის მეტი არაფერი გამაჩნია...

— გმადლობთ, არა მშინ.

— როგორც გენებოთ. სამოვარს დავდგამდი, მაგრამ ჩაი არა მაქვს...
წავალ, ცხენს დავხედავ.

გავიდა და კარები გაიბრახუნა. მეორედ მიმოვავლე თვალი ოთახს. ახლა უფრო მწუხარედ მომეჩვენა, ვიდრე პირველი დათვალიერების დროს. გაციებული კვამლის მწარე სუნი სულს მიხუთავდა. გოგო უძრავად იჯდა, თავჩაღუნული. იშვიათად აკვანს თუ შეარწევდა და მხრებზე ჩამოცურებულ პერანგს შეისწორებდა. შიშველი ფეხებიც უძრავად ჩამოეკიდნა სკამიდან:

— რა გქვიან? — ვკითხე.

— ულიტა, — ჩაილაპარაკა და უფრო მეტად ჩაჰკიდა თავისი ნაღვლიანი სახე.

ტყისმცველი დაბრუნდა და მერხზე ჩამოჯდა.

— გამოდარებას იწყებს, — შენიშნა მან მცირე სიჩუმის შემდეგ. — თუ მიბრძანებთ, გაგაცილებთ, ტყიდან გაგიყვანთ.

ზეზე წამოვდექი. ბირიუკმა თოფი აიღო და ჩახმახი გაუსინჯა.

— ეგ რაღად? — შევეკითხე.

— ტყეში ცელქობენ... ზემო ხრამთან ხეს სჭრიან, — დაუმატა, როდესაც ჩემ სახეზე გაკვირვება ამოიკითხა.

— ვითომ აქ ისმის ხმა?

— ეზოში ისმის.

ერთად გავედით გარეთ. წვიმა აღარ მოდიოდა. შორს ჯერ კიდევ ირეოდნენ ნისლის მძიმე გუნდები, ელვა თავისი გრძელი სხივებით დროდადრო კვლავ აპობდა წყვდიადს, მაგრამ ზემოთ, ჩვენს თავზე, უკვე მოსჩანდა ოდნავადაწმენდილი ცა, თხელ, სწრაფად მქროლავ ღრუბლებში უკვე ლივლივებდნენ ვარსკვლავები. წყვდიადში ბუნდად, მაგრამ მაინც მოსჩანდა წვიმის წვეთებით შეპკურებული და ქარის მიერ შემფოთებული ხეების მოხაზულობა.

— აი, ხომ გესმით? — ჩაილაპარაკა და ხელი გაიშვირა: — ერთი უყურეთ, რა ღამე აურჩევია!

მე არაფერი არ მესმოდა, ფოთლების შრიალის გარდა. ბირიუკმა ჯარღულიდან ცხენი გამოიყვანა.

— ასე დამიგვიანდება, — წარმოსთქვა მან ხმამაღლა: — ველარ მივუსწრებ...

— მეც წამოვალ შენთან, გინდა?

— კეთილი, — მომიგო. — ხელად გავთოკავ, მერე გაგაცილებთ, მაშ გავწიოთ!

და გავწიეთ. წინ ბირიუკი მიდიოდა, უკან მე მივდევდი. ღმერთმა უწყის როგორ იგნებდა გზას. ჩერდებოდა იშვიათად, ისიც იმისათვის, რომ ყური მიეგდო ცულის კაკუნისთვის. „აი, ხომ გესმით?“ — ბუტბუტებდა ტყისმცველი. „სად? სად?“ — ვეკითხებოდი მე. ბირიუკი მხრებს იჩინავდა. ხრამში ჩავედით. ქარი ერთი წუთით მიუჩნდა და ცხადად მომესმა ცულის შორეული კაკუნი. ბირიუკმა გადმომხედა და თავი გააქნია. ჩვენი შემდგომი გზა მოფენილი იყო სველი გვიმრთ და ქინკრით. მოისმა ყრუ და ხანგრძლივი გუგუნე...

— წააქცია... — ჩაიბუტბუტა ბირიუკმა.

ამასობაში ცა ნელ-ნელა იწმინდებოდა, წყვილიდი იფანტებოდა და ტყეში ისე აღარ ბნელოდა. ბოლოს, როგორც იყო, ხრამიდან ამოვედით.

— დამიცადეთ აქ, — წამჩურჩულა ტყისმცველმა, თოფი მოიმარჯვა და ბუჩქებში მიიმალა.

მე სმენად გადავიქეცე. ქარის განუწყვეტელ გუგუნეში თითქოს მესმოდა სუსტი ხმები: ცულის ფრთხილი კაკუნი წამოქცეული ხის ტოტებზე, ურმის თვლები ქრიალი, ცხენის ფრუტუნი... „საით? შესდეგ!“ — დაიჭეჭა უეცრად ბირიუკის ფოლადისებურმა ხმამ. საბრალოდ შეჰკვივლა მეორე ხმამ, თითქოს კურღლეული წრიბინებსო. დაიწყო ბრძოლა. „მიჰქარავ, მიჰქარავ! — იმეორებდა ბირიუკი: — ვერსად ვერ წამიხვალ, ვერსად!“ გავეჩანე იქითკენ, საიდანაც ხმაური მოდიოდა, და როდესაც ხშირი ბორძიკისა და ვაივაგლახის შემდეგ მივალწიე ბრძოლის ადგილს, დავინახე შემდეგი: მოჭრილ ხესთან, მიწაზე, ტყისმცველი ფუსფუსებდა. მას ქვეშ ჩაეგდო ქურდი და უკან, ზურგზე, ქამრით ხელებს უკრავდა. მიეუახლოვდით. ბირიუკმა ზევით აიწია და ქურდი ფეხზე დააყენა. დავინახე სველი, ძონძებში გახვეული გლეხი, გრძელი გაწეწილი წვერით. იქვე იდგა ბეხრეკი, ნახევრად ქილოზგადაფარებული ცხენი, ხოლო მის გვერდით ურმის ორი წინა თვალი. ტყისმცველი ხმას არ იღებდა. გლეხიც სდუმდა და მხოლოდ თავს აკანტურებდა.

— გაუშვი, — ჩაეჩურჩულე ყურში ბირიუკს: — მე გადავიხდი ხის ღირებულებას.

ბირიუკმა ხმა არ გამცა, და მარცხენა ხელი ცხენს ჩაავლო ქოჩორში: მარჯვენა ხელით ქურდი ეჭირა, მაგრა ჩაბლაუჭებოდა ქამარში.

— აბა, მოტრიალდი, შე ყვაავო, შენა! — მკაცრად შესძახა გლეხს ბირიუკმა.

— ცული, ცული აილე, — წაილულულა გლეხმა.

— მართლაც, რატომ უნდა დაიკარგოს ცული!? — სთქვა ტყისმცველმა და ცული აილე.

გავუდექით გზას. მე უკან მივდევდი მათ. წვიმა კვლავ წამოვიდა და მალე თავსხმად გადაიქცა. ძლივს მივალწიეთ ქოხამდე.

ბირიუკმა გლეხის ცხენი შუა ეზოში მიატოვა, გლეხი ოთახში შეიყვანა, ხელებზე მოჭერილი ქამარი ოღნავ მოუშვა და მერე კუთხეში დასვა. გოგო, რომელსაც ის-ის იყო ჩასძინებოდა ფეხზე წამოხტა და შეწინებული თვალები მოგვაჰყიტა. მე მერხზე ჩამოვეჯექი.

— დაწყევლოს ეშმაკმა, როგორ დაუშინა წვიმამ! — შენიშნა ტყის-
მცველმა: — დაცდა მოგიხდებათ. ხომ არ წამოწვებით?

— გმაღლობთ.

— ამას, — განაგრძო ტყისმცველმა და გლეხზე მანიშნა: — საკუჭნაო-
ში შევამწყვდედი, აღარ შეგაწუხებდათ, მაგრამ ურდული...

— დარჩეს აქ, — გავაწყვეტინე სიტყვა ბირიუკს.

გლეხმა ქვეშ-ქვეშ შემომხედა. სიტყვა მრვეცი ჩემ თავს, რადაც
უნდა დამჯდომრდა, გამენთავისუფლებინა საცრდავი. იგი უძრავად იჯდა
მერხზე. ფარნის შუქზე კარგად ვხედავდი მის გამოფიტულ ნაოჭებიან
სახეს, ძირსჩამოშვებულ ყვითელ წარბებს, შეშფოთებულ თვალებს, გა-
მხდარ ნაკვთებს... გოგო იატაკზე დაწვა. ზედ გლეხის ფეხებთან, და
კვლავ ჩაეძინა. ბირიუკი მაგიდასთან იჯდა, მკლავებზე თავდაყრდნობი-
ლი. კუთხიდან ჭრიჭინის ხმა მოისმოდა... სახურავზე წვიმა უშხაპუნებ-
და. ყველანი ვდუმდით.

— ფომა კუზმიჩი, — მიმართა მოულოდნელად გლეხმა ყრუ და ჩახ-
ლეჩილი ხმით ტყისმცველს: — ფომა კუზმიჩი!

— რა გინდა?

— გამიშვი.

ბირიუკმა ხმა არ გასცა.

— გამიშვი... შიმშილისაგან ჩავიდინე... გამიშვი...

— გიცნობთ ყველას, — მკვახედ მიუგო ტყისმცველმა: — მთელი
თქვენი სოფელი ასეთია: ქურდი ქურდზე ზის.

— გამიშვი, — იმეორებდა თავისას გლეხი, — მოურავისაგან ტყავი
გვაქვს გადამძვრალი... გამიშვი!

— ტყავი აქვთ გადამძვრალი!.. ქურდობა მაინც არავის არ შეშვენის.

— გამიშვი, ფომა კუზმიჩი... ნუ დამლუპავ. ხომ იცი? შემჭამს, ცოც-
ხალს არ გამიშვებს.

ბირიუკმა პირი მიიბრუნა. გლეხს აყრუოლებდა, თითქოს ციებ-ცხე-
ლება უვლისო. თავს იქნევდა და მძიმედ სუნთქავდა.

— გამიშვი, — გაიმეორა სასოწარკვეთილებით: — გამიშვი, გავედრებ
ლმერთს, გამიშვი! გადაგიხდი... ღმერთმანი, შიმშილისაგან ჩავიდინე...
ბავშვები ღნავიან, თითონ იცი, გვიჭირს, ძალზე გვიჭირს.

— საქურდავად მაინც არ უნდა იარო.

— ცხენი, — განაგრძო გლეხმა: — ცხენი... ხომ იცი, ის არის ერთად-
ერთი მარჩინალი... გამიშვი!

— გეუბნები, არ შეიძლება-მეთქი! მეც მბრძანებელი მყავს: მო-
მთხოვენ, არ მაპატიებენ. თქვენი გათამამებაც არ შეიძლება.

— გამიშვი! გაჭირვება, ფომა კუზმიჩი... გაჭირვების ბრალია ყველა-
ფერი... გამიშვი!

— გიცნობთ ყველას, კარგად გიცნობთ!

— გევედრები, გამიშვი!

— რას ჩამაცივდი?! იჯექ წყნარად, თორემ ხომ მიცნობ? ვერა ხე-
დავ, ბატონი ზის აქ?

უბედური დაყუჩდა... ბირიუკმა დაამტყნარა და თავი მაგიდაზე დას-
დო. წვიმა კვლავ აშხაპუნებდა. მე ვიჯექ და ვუცდიდი, რით გათავდე-
ბოდა საქმე.

გლები უეცრად წამოდგა, წელში გასწორდა. თვალები აენთო, სახე
გაუწითლდა.

— ჰა, ჭამე, ჭამე! — დაიწყო გლებმა, თან თვალები მოჭტუტა: — შხა-
მად შეგერგოს, შე წყეულო! დალიე ქრისტიანის სისხლი, დალიე!..

ტყისმცველმა თავი გლებისკენ მიიბრუნა.

— შენ გეუბნები, შენ, შეჩვენებულო, სისხლისმსმელო!

— მთვრალი ხომ არა ხარ, რას იგინები? — მიმართა გაოცებულმა
ტყისმცველმა.

— მთვრალი ვარ, ჰო! შენი ფულით თუ დავითვრებოდი, შე სულ-
წაწყმედილო, შე მხეცო, მხეცო, მხეცო!

— აი შე... გიჩვენებ მე შენ!..

— მერე რა? სულერთია ვიღუპები: სად უნდა წავიდე უცხენოდ?
მოდის, გამათავე — ბოლო ერთი იქნება! რა განსხვავებაა — შენ მომკლავ
თუ შიმშილი? დაიღუპნენ ყველანი — ცოლი, შვილები, ამოსძვრეთ სუ-
ლი! შენ კი არ შეგრჩება, იცოდე, შენამდევ მოვალწევთ!

ბირიუკმა წამოიწია.

— მცემე, მცემე! — მიაძახა გაბოროტებული ხმით გლებმა: — მოდი
მცემე! (გოგო სწრაფად წამოიჭრა იატაკიდან და თვალები მიაშტერა
გლებს) მცემე, მცემე!

— ხმა გაიკმინდე! — დაიგრიალა ტყისმცველმა და ორი ნაბიჯი გა-
დადგა გლებისკენ.

— დამშვიდდი, თომა, დამშვიდდი! — მივაძახე მე და წამოვდექი: —
თავი დაანებე...

— არ გავჩუმდები, არა! — განაგრძო უბედურმა: — სულერთია, სუ-
ლი უნდა ამომხდეს. მხეცი ხარ, მხეცი, სულწაწყმენდილო! შენზე ვე-
რაფერმაც ვერ გასჭრა... მაგრამ მოიცა, დიდხანს ვერ იპარპაშებ, მალე
მოგიღებენ ბოლოს...

ბირიუკმა მხრებში სტაცა ხელი. გავეშურე გლების დასახმარებლად.

— არ მომეკაროთ, ბატონო! — დამიყვირა ტყისმცველმა.

მე არ შევეუშინდებოდი მუჭარას, და ის იყო წავატანე კიდევ ხელი,
რომ ბირიუკმა, ჩემდა გასაოცრად, ერთის მოქნევით ჩამოაცალა გლებს
მკლავებიდან ჭამარი, სტაცა კისერში ხელი, თვალებამდე ჩამოაფხატა
ქუდი, კარი გააღო და კინწისკვრით გარედ გააგდო.

— გასწი, გამეცალე! ეშმაკმა წავილოს შენცა და შენი ცხენიც! —
მიაძახა უკანიდან: — მაგრამ მიფრთხილდი, მეორედ აღარ დამენახვო!..

მერე შემოტრიალდა და კუთხეში რალაც ფუსფუსს შეუდგა.

— გამაკვირვე, მართალი გითხრა, ბირიუკ, — მივმართე მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ: — ვხედავ, ვაჟკაცი ყოფილხარ.

— ეე, არა ღირს, ბატონო, მაგაზე ლაპარაკი, — გამაწყვეტინა მწუხარებით: — ნუ ინებებთ და ნუ გაახმაურებთ მხოლოდ... ახლა კი, სჯობს, გაგაცილოთ, — დაუმატა მცირე ხნის შემდეგ: — ეტყობა, ვადაღებავ ალარ აპირებს.

გარედან გლეხის ურმის თვლების ხმა მოისმა.

— წაეთრია! — ჩაილაპარაკა თავისთვის ბირიუკმა: — დამაცადოს, ვაჩვენებ სერის!..

ნახევარჩ საათის შემდეგ ბირიუკი ტყის პირთან გამომეთხოვა.

თარგმანი ილია აბლაძისა

ს რ ი ბ ი კ ა

მრ. ასტვანცატუროვი

გალაქვიონ ვაბიძა

შეოცე საუკუნე ჩვენში ლიტერატურული „მყუდროებით“ დაიწყო. თუ შეცხრამეტე საუკუნის დიდმა კლასიკოსებმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა, ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ და სხვებმა ნოვატორული მოძრაობის ძლიერი ატმოსფერო შექმნეს და ქართული მხატვრული კულტურა—პროზა და პოეზია ახალ სიმაღლეზე აიყვანეს, მეოცე საუკუნის პირველ წლებში ვერ ვხვდებით ამ მოძრაობის თვისობრივი განვითარების ნიშანს. დემოკრატიული მწერლების სახით საქმე გვექონდა უმთავრესად ჩვენი კლასიკური ლიტერატურის ეპიგონობასთან, მისი ზებრალოებამდე დაყვანასთან. მწერალთა ამ თაობამ ერთგვარად იგრძნო ეპოქის იდეური სუნთქვა, მაგრამ რამდენადაც ისინი ცდილობდნენ თავიანთ ნაწარმოებებში გამოეხატათ დროის იდეური ტენდენციები, იმდენად სუსტ ყურადღებას აქცევდნენ ფორმის სრულყოფას, მხატვრულ სიახლესა და ძალას. ეს შინაგანი სისუსტე ვახდა ძირითადი საფუძველი იმისა, რომ ეს „თაობა“ ვერ გადაიქცა პირდაპირ სათავედ იმ დიდი მხატვრული ლიტერატურისა, რომლის შექმნა სოციალისტური რევოლუციის პირველ დღიდან დაიწყო.

„მყუდროება“, რომელზეც ჩვენ ზევით ვილაპარაკეთ, განსაკუთრებით საგრძნობი ვახდა პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ დაიწყო კონტრრევოლუციის შეტევა ყველა ფრონტზე, იგი გავრცელდა იდეოლოგიის ფრონტზეც. „გაჩნდა მთელი ხროვა მოღური მწერლებისა, რომლებიც „აკრიტიკებდნენ“ და „აკამტვერებდნენ“ მარქსიზმს, ტალახში სვრიდნენ რევოლუციას, დასცინოდნენ მას, ხოტბას ასხამდნენ გამცემლობას, ხოტბას ასხამდნენ სქესობრივ გარყენილებას ვითომდა „პიროვნების კულტისათვის“ („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია“).

რეაქციის სუსხმა მხატვრული ინტელიგენციის მეორე ნაწილში შეიტანა სიცივე, მრავალი პოეტის რევოლუციური ხმა გაბზარა, გაამეფა გულგატეხილობა და ამქვეყნიური ცხოვრებიდან მისტიურ სამყაროში გაქცევის ტენდენცია. წვრილბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ შორს ველარ გაიხედა, დაინძრა მისი გარსახედელი პორიზონტი, დაქანა ვაზაფ-

ხულის ფერადი ყვავილები, სქელმა ბურუსმა დაჰფარა გარემომცველი საგნები და ყოველივე ისიც, რაც მათი გულის სიღრმეში იყო მოთავსებული. ასეთ სიტუაციაში გაჩნდა მისტიურ-სიმბოლოსტური რომანტიკული სკოლა, რომლის ყველაზე თვალსაჩინო, მაგრამ არა ბოლომდე ტიპური წარმომადგენელი იყო გალაქტიონ ტაბიძე.

გალაქტიონ ტაბიძე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა პირველი რევოლუციის დროებითი დამარცხების ხანაში. მის პირველ არალეგალურ ლექსში („პირველი მაისი“) აშკარად გამოსჭვივოდა პოეტის რევოლუციური განწყობილება და ღრმა რწმენა იმისა, რომ თვითმპყრობელობა, რომელსაც

„ციხეში, ბორკილში,
შიმშილში, ომებში
სურს ჩაკლას მუშათა
პირველი მაისი“, —

უძლურია, რომ პირველი მაისი, მასების მაისი სცოცხლობს და უძლველია, იგი კვლავ აღმართავს თავისუფლების მებრძოლ დროშას. პოეტის რევოლუციური განწყობილება აშკარად მოსხანს პირველი ლექსების კონსტრუქციასა და შინაგან რიტმშიც. მაგრამ, ეს იყო რეაქციის პირველი „დღეები“, როცა რომანტიკულად განწყობილი პოეტი ჯერ კიდევ გრძნობდა მიზნების სიახლოესა და პირველი რევოლუციის მიერ დანთებულ ცეცხლის სითბოს. ღრმა მწუხარებამ და უიმედობამ შოიცვა გალაქტიონ ტაბიძე მაშინ, როცა პირველი აფრთოვანებისა და ხანმოკლე გაზაფხულის მზიან დღეებს მოჰყვა ხანგრძლივი ზამთრის სუსხიანი დღეები, როცა კაშკაშა ცას გადაეფარა რეაქციის შავ-ბნელი ღრუბელი, გაშეფდა გარშემო მწუხარება და შავი ბურუსი. პოეტის სული შეიპყრო პესიმიზმმა, სევდამ, მარტობამ, მისთვის მთელი გარემო წყვიდად უდაბნოდ გადაიქცა. თავის გარშემო ველარ ამჩნევს იგი მანუგეშებელს:

მოგკვდე და გული ვის დავწყვიტო, ვინ დავაობლო?
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა ჩემი სამშობლო.
რად მინდა მივსწვდე მიუწვდომელს, ვრცელს და უსაზღვროს?
ჩემს უდაბნოს ვერ გავსცილდები მაინც ვერასდროს.
მეგობრობაში, სიყვარულში, შურში, მტრობაში
მარტო ვიქნები, და რა ვჰპოვო მარტობაში?
ვიმღერო? მაგრამ ჩემთვის რაა ჩემი სიმღერა?
წუთით მიტაცებს, სამუდამოდ წყლულს კი ვერ შლის, ვერა!
თუ კი შორს ვინმე ტკბება ჩემის სევდიან ხმებით,
ის ჩემს ხმებს მიჰყავს... მე ვის წავეყე ჩემის წამებით?
ან შეგობარის თუ მომესმას ნეტარი ხმობა,
შემეძლება კი სიყვარული და მეგობრობა?

„არცა თუ მცირედ შეუდგა გულს სევდა-ნაღველი,
რომ კვლავ შემეძლოს ზეცისაკენ აღვაპყრო ხელი.
ო, სად ხარ, სადა, უჩვეულო რაიმე ძალო,
სიცარიელის შავი ნისლი რომ გამაცალო?!“

ამაზე უფრო ღრმა განცდა სევდისა და უიმედობისა შეუძლებელია რეაქტიის წლებში პოეტს ისეთ გარემოცვაში უხდებოდა ცხოვრება, რომ მისთვის ძნელი იყო მოვლენათა მიღმა დაენახა თავისი ადრინდელი მიზნების ბრწყინვალე პერსპექტივა, გულის სიღრმეში ეტარებინა ნათელი იმედი და აფრთოვანება. მით უმეტეს ძნელი იყო ეს გალაქტიონ ტაბიძისათვის იმიტომ, რომ იგი მაშინ ფრანგი და რუსი სიმბოლისტების ძლიერ გავლენას განიცდიდა. თავისი ადრინდელი მიზნები პოეტს ხმაჩაწყვეტილ ქარის ქვეთინში უქრებოდა და მხოლოდ ზღაპრად ესმოდა ისინი:

„სწუხს არე-მარე, კენესის მიდამო,
ხმაჩაწყვეტილად ზუზუნებს ქარი...
და მის ქვეთინში მე ჩემი ყრმობის
აუხდენელი მესმის ზღაპარი“.

უიმედობით შეპყრობილი პოეტი გამოსავალს ვერ ხედავდა. სევდამ მოლაღა, მოადუნა და გააპასიურა მისი ხმა. იგი ცდილობდა გაჰქცეოდა ამქვეყნიურ სინამდვილეს და შორს, სხვაგან. თავის ბედს იქით მოენახა მყუდრო ადგილი, სადაც ნაკლებად იქნებოდნენ მისი მგრძობიარე ნერვების ამშლელი ადამიანები.

1. „წავალ, გავყვები ამ სევდიან გზას,
და დავიმშვიდებ დაღლილ სიცოცხლეს
შორს, სხვა ედემში! შორს, ჩემს ბედს იქით“...
2. „სადმე ყრუ ადგილს დავესახლები
სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი,
სადაც იქნება ცოფი ნაკლები
და უფრო ნაკლებ ადამიანი.“

პოეტი ფიქრობს, რომ იგი აჩრის „სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი“ რომელიც დაიბადა მაშინ, როცა ბრძოლის ამინდმა „გადაიარა“ და მზიანი დღის ნათელი პერსპექტივა აღარ მოსჩანს. იგი ხედავს, თუ როგორ დამარცხდა მის თვალწინ თავისუფლებისთვის მებრძოლი ახალგაზრდობა, როგორ დაეცა სულით და მწუხარებას მიეცა მისი გარემომცველი ინტელიგენტური ახალგაზრდობა და თვითონაც იმათ შორის უკურნებელი წყლულებით „კვდება“:

„ახალგაზრდათა დაცემის და დაუძლურების,
ახალგაზრდათა მწუხარების მე ვარ მოწამე;
მეც იმათ შორის უკურნებელ წყლულებით ვკვდები“.

გალაქტიონ ტაბიძე თითქოს გრძნობდა, რომ იგი ბრძოლებისთვის და-
ბადა, მაგრამ, მოუსწრო რა „სხვა საუკუნემ“, ვერ ასცდა იმ საერთო
განწყობილებას, რომელიც რეაქციის გამარჯვებამ წვრილბურჟუაზიულ
ინტელიგენციაში შექმნა. ამ შემთხვევაში სრულიად თამამად შეგვიძლია
გავატაროთ პარალელი მასსა და მეცხრამეტე საუკუნის დიდი პოეტის —
ნიკოლოზ ბარათაშვილის შორის. ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელიც
მეამბოხე რაინდული სულითა და დიდის აღმაფრენის ძალით დაიბადა,
1832 წლის შეთქმულების შემდეგ გამეფებულმა ნიკოლოზ პირველის
საშინელმა რეაქციამ სევდით დანისლა და, მსგავსად გალაქტიონ ტა-
ბიძისა, შორს, ბედს იქით, ეძებდა იგი მყუდროებას. გულის სიღრმეში
კი, მაინც ატარებდა თავის ადრინდელ, „თანდაყოლილ“ ნიშნებს და საკ-
მარისი იყო ოდნავ შესაფერი ვითარება, რომ ბარათაშვილში კვლავ თა-
ვისი ძალით აღორძინებულყო მებრძოლი სული, რის ბრწყინვალე ნი-
მუშიც გალაქტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების ევოლუციამ
მოგვცა.

ადრინდელი გალაქტიონ ტაბიძის მთავარი სისუსტე ის იყო, რომ გარ-
კვევით არ ესმოდა მას რევოლუციის გარდუვალობა, იგი ემპირულად და
მეტაფიზიკურად სჭერტდა მოვლენებს. კლასობრივი ბრძოლის შინა-
არსსა და შედეგებს აფასებდა მისი გარეგანი ფორმის მიხედვით და ვერ
ხედავდა ძალთა იმ შინაგან დაჯგუფებას, რომელიც ნიადაგს ამზადებ-
და ახალი რევოლუციური აღმავლობისათვის. ეს იყო მთავარი მიზეზი
იმისა, რომ საზოგადოებრივ ყოფაში და კლასობრივი ბრძოლის სფეროში
მომხდარი ცვლილებები სხვანაირად აისახა გალაქტიონ ტაბიძის შემოქ-
მედებაში. ეს იყო მიზეზი აგრეთვე იმისა, რომ პოეტმა ვერ შესძლო შეე-
ნარჩუნებინა თავისი მებრძოლი სული, რათა სევდისა და უიმედობის
ქარს არ გაეტაცნა იგი.

მაგრამ არ იქნებოდა სწორი აქვე ხაზი არ გაგვესვა გალაქტიონ ტა-
ბიძის პოეზიის იმ ნიშანდობლივი მხარისათვის, რაც ანსხვავებდა მას
სხვა წვრილბურჟუაზიულ დრეკადენტურ მისტიკოს-ჩიმბოლისტებისაგან.
არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ვალ. ტაბიძის პირველი პერიოდის
შემოქმედების შინაგანი მოტივები ბუნებრივი წინააღმდეგობებით არის
გახლართული. ჩვენ დავინახეთ, რომ გალაქტიონ ტაბიძე, სევდითა და
უიმედობით მზებრობილი, გამოსავალს ცხოვრებიდან გაქცევასა და სად-
ღაც მყუდრო ადგილას დასახლებაში ხედავს, იგი გაურბის აღამიანებს,
ისევე, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელიც ვერავის მიჰკარე-
ბოდა და ობლად ჰგრძნობდა თავს „სავსე და ვრცელ სოფელში“. მაგ-
რამ სევდითა და უიმედობით მოცული პოეტის გულის სიღრმეში მაინც
მოსჩანს იმედის ნაპერწკალი, რომელიც ისტორიული პირობების ზეგავ-
ლენით შეიძლება ალათ გადაიქცეს. ამ ნაპერწკალს იგი ფარულად
ატარებს. „გული სავსეა წყნარი სიმღერით, სული ვარსკვლავებით ბე-
დის“, — ამბობს პოეტი. მას თითქოს სწამს, რომ „ბედი“, რომელსაც იგი
ეტრფის, ცოცხალია. პოეტს გულიც აქვს, რეაქციის სასტიკი ზამთრისა-

ვან ყინულად ქცეული, მაგრამ ცხოვრების შთაგონებით მას ზოგჯერ აღედგრება ხოლმე მიმქრალი იმედები იმისა, რომ „ვინ იცის, ვალხვეს ყინული, ღრმა მწუხარებით შემორკინული“ და ფიქრობს — „წელიწადები წავლენ ძველი, შეიცვლებიან ქარით სიანი“, რაც გაჰფანტავს სულის შემხუთავ ჰაერს.

გალაქტიონ ტაბიძეზე დიდი იყო სიმბოლისტების გავლენა, მაგრამ იგი მაინც რადიკალურად განსხვავდებოდა დეკადენტ სიმბოლისტებისაგან და ძალიან უახლოვდებოდა ბოდლერსა, ბრიუსოვსა და ბლოკს. ამასთან ტაბიძის სიმბოლისტური რომანტიზმი უფრო ნაციონალური ხასიათისა იყო და უმთავრეს სათავეს ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიულ პოეზიიდან იღებდა. გალაქტიონ ტაბიძე, ისევე, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილი, გაურბოდა რა ამქვეყნიურ სინამდვილეს და სხვაგან, შორს, ბედის იქით ეძებდა მყუდროებას, მაინც უკან იხედებოდა და კავშირს არ სწყვეტდა მიწიერ ცხოვრებასთან და ზოგჯერ მის პოეზიაში მოვლენათა რეალური შემეცნების სურნელმაც იგრძნობოდა. მაგალითად, ადრინდელ ტაბიძეს სწყურია რევოლუცია, მაგრამ, მისი სუსტი ადგილი ისაა, რომ არა აქვს ნათელი წარმოდგენა რევოლუციის კონკრეტ სახეზე. მან იცის მხოლოდ, რომ რევოლუცია თავისუფლების სინონიმი და სურს საქართველოსაც ამშვენებდეს ეს უკანასკნელი, რომელიც სევდისაგან შეზოქილ სულს გაუნთავისუფლებს და „ვულკანური ორკესტრით“ ააქედრებს მის გრძნობათა და ოცნებათა ძლიერ ქნარს:

„ო, როგორ მინდა, მეგობრებო, ბუნდაც ერთი დღით
ჩვენთვისაც იყოს უმაღლესი თავისუფლება.

ო, როგორ მინდა უფრო მძლავრად გავშალო ფროები,
ვანა არ არის საშინელი საცოდაობა,

ისეთ ქვეყანას, როგორც ჩენი საქართველოა,
რევოლუცია არ აძლევდეს სიმშვენებებს?

ვულკანური ორკესტრით უნდა ისმოდეს

გრძნობათა ჩვენთა და ოცნებათ ძლიერი ქნარი“.

(1916 წ.)

და მართლაც, საქართველოს ოქტომბრის შემდეგ პოეტის ქნარი „ვულკანური ორკესტრით“ ამეტყველდა. ამასთან, თუ 1917 წლამდე პოეტს არ ჰქონდა კონკრეტული წარმოდგენა რევოლუციაზე და შესტრფოდა რევოლუციის საერთოდ, 1917 წლის რევოლუციის პერიოდში, რევოლუციის საერთო გაგებიდან ვალ. ტაბიძე მივიდა მის კონკრეტულ გაგებამდე. საქართველოს ოქტომბრის შემდეგ პოეტის შემოქმედებაში საბოლოოდ და მოუბრუნებლად გაიმარჯვა იმ ჯანსაღმა თესლმა, რომელიც არსებობდა მასში თავიდანვე დაფარული და გაიშვიათებული სახით.

ვალ. ტაბიძე, როგორც დავინახეთ, 1917 წლის რევოლუციების მიჯნას რევოლუციისადმი გაღვიძებული ინტერესით მიაღწა. მას უზომოდ სწყურებოდა თავისუფლება და იტაცებდა რევოლუცია, როგორც პირველის

სიმბოლო. და აი, მოხდა თუ არა 1917 წლის თებერვლის რევოლუცია, პოეტი უსაზღვროდ აღაფრთოვანა და გაიტაცა ამ ამბავმა და მთელი ძალით შესძახა:

„გათენდა; ცეცხლის მზე აენთო, აცურდა...

დროშები ჩქარა!

თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს. — წყარო ანკარა,
დროშები ჩქარა!...

გათენდა! შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!
დროშები, დროშები, დროშები ჩქარა!

თავისუფლების წყურვილმა პოეტს ანგარიშმიუცემლად შეაყვარა რევოლუცია. მაგრამ ამბების ვითარებამ, მალე დაარწმუნა იგი, რომ ეს არ იყო ის რევოლუცია, რომელშიც მთელი თავისი ფიზიკური და პოეტური სხეულით უნდა გადაშვებულყო პოეტი. ოქტომბრის რევოლუციის მოხდენისთანავე გალ. ტაბიძე გაეშურა რევოლუციის ცენტრში ლენინგრადში და უშუალო მოწმე გახდა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამბებისა. უშუალოდ განიცადა ეს ამბები და ხარბად შეისუნთქა ოქტომბრის სიძლიერე. ეს გარემოება პოეტისათვის გადაიქცა მოვლენების აბსტრაქტულ-მეტაფიზიკური გაგებიდან მათი სოციალურ-კონკრეტულ გაგებამდე მისვლის საწყისად. აქ მნიშვნელობას არ არის მოკლებული ის გარემოება, რომ მაშინ, როცა სხვა სიმბოლისტური და ყველა ტიპის წვრილ-ბურჟუაზიული და ნაციონალისტური მიდრეკილების მწერლები სულიერი კმაყოფილებით აავეს „სოციალისტური“ ფრაზებით შეფერადებულმა მენშევიკების ბურჟუაზიულმა რეჟიმმა, გალაქტიონ ტაბიძეში მან უბრალო კმაყოფილების გრძნობაც კი ვერ აღძრა და ამ კონკრეტულ მაგალითზე იგი დარწმუნდა. რომ არა ყოველი რევოლუციით შეიძლება ნამდვილი თავისუფლების მოპოება.

საქართველოს ოქტომბრის პირველ დღიდანვე გალ. ტაბიძის წინაშე ფართო შემოქმედებითი ასპარეზი გადაიშალა, მისი პოეტური სული სავსებით განიკურნა უიმედობის წყლულისაგან. საბჭოთა ხელისუფლებამ გააღვიძა პოეტში რევოლუციური პათოსი, აღჭურვა იგი ახალი შემოქმედებითი ენერჯით და შეუქმნა პოეტური მეტყველების დაუშრეტელი წყარო. ამიერიდან პოეტმა მონახა თავისი ადგილი ამქვეყნიურ ცხოვრებაში და დადგა „იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი სდგას ანგელოსი“.

გალაქტიონ ტაბიძემ თავის თაობის პოეტებიდან პირველმა აღმართა რევოლუციური დროშა პოეზიაში, თავიდანვე მივიდა განახლებულ ქვეყანასთან და დაიწყო მისი ინტერესებისადმი უანგარო სამსახური, უფრო დიდი პოეტური ძალითა და რომანტიკული აფრთოვანებით მისცა სათავე ახალი, რევოლუციური ეპოქის მებრძოლ პოეზიას. გალ. ტაბიძემ მთელი თავისი ოცდაათწლიანი შემოქმედებითი მუშაობის მანძილზე ოსტატურად მიიღო და შეითვისა კლასიკური ლექსის ფორმალური მიღწევები, წინ

წასწია და განავითარა ის ახალი ელემენტებით. არა მარტო ადრინდელი, მისი რევოლუციის შემდგომი პერიოდის მრავალი ლექსი შეუდარებელ შედეგებად დაჩვენებან პოეტურ კულტურაში და მისცემენ სათავეს და საზრდოს თანამედროვე პოეზიის შემდგომ განვითარებას. გალ. ტაბიძის ახალ ლექსებში რევოლუციური ეპოქა სუნთქავს. ვერც ერთმა მისი თაობის პოეტმა ვერ შესძლო მოენახა ჩვენი რევოლუციური ეპოქის რიტმი ისეთი პოეტური ძალით და გადაეტანა იგი ლექსებში, როგორც ბუნებრივი და ორგანიული შინაარსი, ისეთი სიმძლავრით, როგორც ეს გალაქტიონ ტაბიძემ შესძლო.

ამიტომ არის, რომ გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაშთელ კლასიკურ შემკვიდრობასთან ერთად, არის სათავე მთელი მეოცე საუკუნის მაღალი პოეტური კულტურისა და საბჭოთა რევოლუციური პოეზიისა. გალ. ტაბიძემ, როგორც არცერთმა მისმა თანამედროვემ, უდიდესი გავლენა მოახდინა რევოლუციამდელ და რევოლუციის შემდგომი თაობის პოეტებზე. მისი პოეტური მეტყველების ხასიათითა და ბუნებით, სტილითა, და რიტმით დავალებული არიან საბჭოთა პოეზიის ყველაზე ნიჭიერი წარმომადგენლები. ამიტომ, საესებით თავისუფლად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ, როგორც ნიკ. ბარათაშვილმა მისცა სათავე ახალ ქართულ ლიტერატურას და დავგიტოვა ამ ლიტერატურის მაღალ მხატვრული ნიმუშები, ისე გალ. ტაბიძემ მისცა უშუალო „სათავე“ საბჭოთა ეპოქის მაღალ პოეტურ კულტურას.

ეს არის ის უდიდესი როლფ, რომელიც შეასრულა გალ. ტაბიძემ სოციალისტური პოეზიის განვითარების საქმეში, მაგრამ, აქვე საჭიროა ხაზი გავსვას ავერთვე მის მეორე როლსაც, რომელიც შეასრულა მან ქართული ლიტერატურის ისტორიაში თავისი შემოქმედების პირველ პერიოდში, რაც ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივ ავღნიშნეთ ზევით.

მეოცე საუკუნეს მეცხრამეტე საუკუნისაგან ემართა პოეტი, რომელიც აღადგენდა და წინ წასწევდა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური სუნთქვის ძალას. ილიამ, აკაკიმ და სხვებმა მიიღეს, აღადგინეს და განავითარეს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის მოტივები, იდეური მხარე, მისი ახალი მხატვრული სტილი, ევროპიზმი, მაგრამ მისი პოეტური სუნთქვა თითქმის ხელუხლებელი დარჩა. მეცხრამეტე საუკუნემ ვერ აითვისა ბარათაშვილის რომანტიკულ-სიმბოლისტური პოეტური ხმა მთელი თავისი შინაგანი ნუნსებით. ვაჟა-ფშაველას ხმა თავისი სძმალლით უსწორდებოდა ბარათაშვილის ხმას, მაგრამ ის უფრო ორიგინალური ხმა იყო და თავისი ბუნებით განსხვავდებოდა ბარათაშვილის ხმისაგან. ბარათაშვილის პოეტური ხმის აღდგენისა და განვითარების დიდი მოვალეობის შესრულება წილად ხვდა გალაქტიონ ტაბიძეს.

მეოცე საუკუნის დასაწყისის ტაბიძემ ისეთივე ძალით აღადგინა ბარათაშვილური ხმა, როგორიც შეჰქმნა ის მეცხრამეტე საუკუნის ბარათაშვილმა. ისტორიულად საინტერესოა ისიც, რომ გალ. ტაბიძემ ბარათაშვილური ხმა აღადგინა „ისეთსავე“ სიტუაციაში, როგორშიც შეიქმნა იგი.

ნიკ. ბარათაშვილმა თავის პოეტური სტილი და ხმა შეჰქმნა დეკაბრისტებისა და ქართველ შეთქმულთა დამარცხების შემდეგ გამეფებულ ნიკოლოზ პირველის სასტიკი რეაქციის პერიოდში, როცა გამეფდა ისეთივე გულგატეხილობისა და უიმედობის განწყობილება ფეოდალურ ინტელიგენციაში, როგორც 1905 წლის რევოლუციის შემდეგ ნიკოლოზ მეორის რეაქციის გაბატონების შემდეგ წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციაში.

ამ ორი ეპოქის თვისობრივმა სხვადასხვაობამ და ისტორიულმა დაშორებამ კი ვალ. ტაბიძის შემოქმედებას მისცეს განსხვავებული შინაარსი, მიმართულება და ისტორიული პერსპექტივა.

ასეთია საერთოდ ვალ. ტაბიძის როლი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ტაბიძე კვლავ ახალგაზრდული ენერჯით ეწევა მუშაობას და მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ოცდაათი წლისთავზე დარწმუნებული ვართ, რომ იგი კიდევ შესძენს საბჭოთა პოეზიას ახალ-ახალ ნიმუშებს.

პრის მარია რეპარკი

„ღაბრუნება“

1918 წელი, გერმანეთ-საფრანგეთის ფრონტი. მოღის ცნობა ზავის შესახებ.

„ახლა, როცა მოფრინდა ცნობა უახლოესი ზავის შესახებ, — ჰყვება რემარკის „ღაბრუნების“ მთავარი მოქმედი პირი ერნსტი, რომლის პირითაც მიმდინარეობს თხრობა, — ყოველმა საათმა შეიძინა ათასჯერ მეტი სიმძიმე და ყოველი წუთი ტყვიების ცეცხლში გვერვებდა უფრო მძიმედ და გრძლად, ვიდრე მთელი განვლილი დრო“.

ყველა ისწრაფის შინისაკენ, მაგრამ ყველანი გრძნობენ, რომ ისინი აღარ არიან წინანდელი ადამიანები. ინსტიტუტურად მათში იღვიძებს შეგნება შეჩვეული კომპარისაგან თავის დაღწევის შეუძლებლობისა.

„ჩვენ ისე შევეჩვიეთ ფრონტის გუგუნს, რომ ახლა, როცა ის არ გვახრჩობს, ისეთი გრძნობა გვაქვს, თითქოს ავფეთქდებით, ავფრინდებით ჰაერში, როგორც ჰაერის ბუშტები...“

— ეს ხომ ზავია, ძმებო! — ამბობს ვილლი და მისი სიტყვები თითქოს ბომბის აფეთქებაა“.

მშვიდობიანობა, ზავი, დაბრუნება შინ და სიწყნარე... ამ სიწყნარეს ჯარისკაცები გადაეჩვივნენ. მათ მოუსვენრობა იპყრობს და როცა უკანასკნელად კიდევ ისმის ზარბაზნების გრიალი — ისინი მშვიდდებიან: „ჩვენ გვიხარია ამ შეჩვეული გუგუნისა, ამ ხმებისა, რომელთაც სიკვდილი მოაქვთ“, — ამბობს ერნსტი.

კიდევ ერთი მსხვერპლი — ვესლინგი, მათი ამხანაგი, სასიკვდილოდაა დაჭრილი. მაგრამ ომი დამთავრებულია. ჯარისკაცები ეთხოვებიან ფრონტს.

„ბევრი ჩვენგანია დამარხული აქ, მაგრამ დღემდე ჩვენ ამას არ ვგრძნობდით. ჩვენ ხომ ერთად ვრყავით: ისინი მიყრილ მიწაში, ჩვენ — ღია ორმოებში, ერთმანეთისგან მიწის მცირე ხევით დაშორებულნი. მათ მხოლოდ მცირედით გაგვისწრეს, რადგან ყოველ დღე ისინი მრავლდებოდნენ, ჩვენ კი ვმცირდებოდით და ხშირად არ ვიცოდით, ხომ არ ვიმყოფებოდით ჩვენც მათს რიცხვში. მაგრამ ცეცხლი ისევ ამოყრია მათ

ჩვენსკენ, მაღლა მიფრინავდნენ დახსნილი ძვლები, ტანისამოსის გაცრეცილი ნაფლეთები, სქელი, მიწით გატენილი თავები, გრიგალისებური ცეცხლით თხრილებიდან ისევ ბრძოლის ველზე დაბრუნებულნი. ჩვენ ეს სრულიად არ გვეჩვენებოდა საშინელებად: ჩვენ თითქმის მათგან განუყოფელი ვიყავით. მაგრამ ახლა — ჩვენ ისევ უკან, ცხოვრებას ვუბრუნდებით, ისინი კი აქ რჩებიან“.

ასეთია „დაბრუნების“ პროლოგი. წიგნის უმთავრესი თემა კი — შინდაბრუნებული ჯარისკაცების ცხოვრებაა.



ერნსტი მიდის სახლში. იგი უკვე ყმაწვილი კი არაა, რომელმაც სკოლის კედლები დასტოვა ოთხი წლის წინათ. მშობლებიც, უწყინარი მეშჩანებიც, სულ სხვა ადამიანებად ეჩვენება შინდაბრუნებულ ჯარისკაცს.

ერნსტს აღარ შეუძლია ისმინოს მშობლების საუბარი ჩვეულებრივ საგნებზე — იმდენად ძლიერია მასში ომის საშინელებათაგან მიღებული შთაბეჭდილებანი. მაგალითად, მას აცნობებენ ნათესავის, პლესტერის გარდაცვალებას:

„—რა დაემართა? — აგდებულად ვეკითხები მე, დამძიმებული შეუჩვეველი სიტბოსაგან — ყუმბარის ნამსხვრევისაგან აუ ტყვიისაგან გარდაიცვალა?“

— რას ამბობ, ერნსტ! — გაიკვირვა მამამ ჩემი პასუხის გამო, — ის ხომ სალდათი არ იყო. ის ფილტვების ანთებით მოკვდა.

— აჰ, დიალ! — ვამბობ მე და ვცდილობ პირდაპირ დავჯდე — ასეთი რაიმეც ხდება ხოლმე“.

ერნსტისათვის გაუგებარია ეს ბუნებრივი სიკვდილი, მან იცის მხოლოდ — ნაძალადევი სიკვდილი.

აი ერნსტი ზის ნათესავის, კარლის ოჯახში. „ბრწყინვალე“, მეშჩანურ საზოგადოებას მოუყრია თავი და მსჯელობენ. აქ თვითეულს პროფესიის მიხედვით აფასებენ. ერნსტისათვის ყველაფერი უცხოა ამ ოჯახში, ის არაფერს ისმენს, სჭამს სალდათურად და ამის გამო საყოველთაო დამცინავი ყურადღების საგნად იქცევა. ერნსტი სტოგებს ამ საზოგადოებას და თავის ძალთან ერთად, რომელიც გარეთ უცდიდა, მიდის.

„წავიდეთ, მგელო, — ვამბობ მე და უცბად ნათელი ხდება ჩემთვის, რომ გამამბოროტა არა ამ უხერხულობამ კატლეტის ჭამის დროს, არამედ დაშყაყებულმა, თვითკმაყოფილმა სულმა, რომელიც აქ ჯერ კიდევ ბატონობს. — წავიდეთ, მგელო, — ვიმეორებ მე — ეს ადამიანები ჩვენთვის უცხონი არიან. ყოველ ტომისთან, ყოველ ფრანგთან თხრილში უფრო ადვილად გავაბამთ საუბარს, ვიდრე ამათთან. წავიდეთ, მგელო, წავიდეთ ჩვენს ამხანაგებთან! უმჯობესია მათთან ყოფნა, თუმცა ხელითა სჭამენ და დანაყრებულნი, ივინებიან. წავიდეთ!“

მყუდრო ცხოვრება ერნსტისათვის წამებად იქცევა. მას ისევ ელანდება მკვდრები. ისევ ესმის ზარბაზნების გრიალი, რადგან შეეჩვია ცხოვ-

რებას „სიკვიდისა და სიკვიდის“ შორის; „საშინელებასა და საშინელებას“ შორის. და უცბად ეს ბიუტრგერული, წყნარი ცხოვრება!

ერნსტი ვერ პოულობს ადგილს ახალს გარემოში. თვით ოთახი, საგნებიც კი თითქოს გამოცვლილა, რბილი სავარძლები ეხამუშება, ყუმბარებით დაუსახიჩრებელი ბუნებაც კი მასში ისევ ომის მოგონებებს აღძრავენ. და არა მარტო ერნსტია ამ ყოფაში. შინ დაბრუნებული მისი ამხანაგებიც ვერ ნახულობენ ადგილს ცხოვრებაში. უფრო მეტი — ბევრმა თანამოძრაობის მკაცრი მკაცრი ნაცვლად ახალი უბედურებანი დახვდათ: ადოლფ ბეტკესათვის ცოლს უღალატნია; გიზეკე — საგაიეთში წაუყვანიათ; ალბერტ ტროსკეს — ფეხებმოკვეთილი ძმა უწევს სახლში.

ამხანაგების მცირე ჯგუფი — ალბერტი, ვილი, ერნსტი, ლიუდვიგი, რაგე და კიდევ რამდენიმე სხვა — ცდილობენ განუშორებლად ერთად ყოფნას. სხვებმა, ზოგიერთმა უახლოესმა ამხანაგებმა, თანდათან მონახეს ადგილი — მაზარის ნაცვლად ფრაკები და კოსტუმები ჩაიცვეს, საქმის ხალხი გახდნენ და წინანდელი ამხანაგური ურთიერთობა შესწყვიტეს.

ჯარისკაცთა ერთი ჯგუფი ისევ სკოლას უბრუნდება. საჭიროა მათი ზელახალი აღზრდა. მაგრამ სკოლაში არაფერი გამოცვლილა: ისევ ის წესრიგი, ისევ ის დახვეწებული დისციპლინა, ყალბი ტირადები სამშობლოზე, გმირობაზე და სხვა.

ჯარისკაც-მოწაფეებს დირექტორი მიმართავს მაღალფარდოვანი სიტყვით, იგონებს მათს გმირობას და მოუწოდებს ახალი შრომისაკენ გოეტეს სიტყვებით:

— „...ყველა სტიქიების მიუხედავად, უნდა შევინარჩუნოთ საკუთარი თავი!“

— რაიც თქვენ სავსებით მოახერხეთ! — ბურღუნებს ვასტერ-ზოლტი“.

ამ შესვედროსას ჯარისკაცები იგინებინან, თვითვე გამოდიან მსაჯულის როლში, აწყვეტინებენ სიტყვას დირექტორს და ნებას არ აძლევენ ილაპარაკოს მათს დაღუპულ ამხანაგებზე; თავიანთ ყოფილ მასწავლებლებს უხსნიან, რომ გმირული და რომანტიული ომის ნაცვლად ფრონტზე მათ ნახეს გაუგონარი ხოცვა-ჟლეტის სურათები. ერთერთი მოწაფე — ჯარისკაცი ლუდვიგი თავის ანთებულ სიტყვაში სხვათაშორის ამბობს:

— „ჩვენ მივდიოდით საომრად ბაგეზე სიტყვით „სამშობლო“, და დაებრუნდით, ჩავიმარხეთ რა გულში ის, რასაც ახლა გველისხმობთ სიტყვაში „სამშობლო“! კმარა თქვენი ხმამაღალი ფრანები, ისინი ჩვენთვის გამოუსადეგარნი არიან; არ გამოადგებათ ის არც ჩვენს დაცემულ ამხანაგებს. ჩვენ ვხედავდით, თუ როგორ კვდებოდნენ ისინი. მოგონება ამაზე იმდენად ცხოველია, რომ გვეძნელება მოსმენა, როცა მათზე ლაპარაკობენ ისე, როგორც თქვენ. ისინი კვდებოდნენ რაღაც უფრო დიდისათვის, ვიდრე თქვენი სიტყვებია“.

უიმედობა მეფობს რემარკის წიგნში. „დაბრუნება“ ნამდვილი აღსარებაა ფსიქოლოგიურად განადგურებული ჯარისკაცისა:

„ჩვენ ყველაფერი სხვანაირად გეჭონდა წარმოდგენილი. ვტიქრობდით ძლიერი აკორდით დაიწყებოდა ახალი, ნათელი არსებობა — სრულყოფილი სიხარული ხელახლადშეძენილი ცხოვრებისა. ასე გვეხატებოდა ჩვენ დაბრუნება. მაგრამ დღეები და კვირეები მისრიალებენ განზე, ისინი მიდიან რაღაც უმნიშვნელო და ზედაპირული საქმეებისათვის ზრუნვაში და გასინჯვისას აღმოჩნდება, რომ არსფერი გაკეთებულა. თმმა მიგვაჩვია მოქმედებას, თითქმის დაუფიქრებლად, რადგან ყოველი წუთი დაყოვნებისა სიკვდილით იყო დამძიმებული. ამიტომ ცხოვრება აქ ძალზე მძვინვარე გეჭვენება, ჩვენ მას ვითვისებთ დაძვინვარებით, მაგრამ სანამ ის გვიპასუხებდეს და განხილავდებოდეს, ზურგს ვუბრუნებთ. ძალიან დიდხანს ჩვენი შეუცვლელი თანამგზავრი იყო სიკვდილი. ის იყო მარჯვ მობრუნებულ და ყოველ წუთს კარტისათვის უმალლესი განაკვეთი იღებოდა. ამან გამოიმუშავა ჩვენში რაღაც დაჭიმულობა, ციებ-ციხლება, გვასწავლა მხედველობაში მიგველო ნამდვილი წუთიერი განცდა. და ახლა თავს ვგრძნობთ განადგურებულად, რადგან ყველაფერი ეს აქ საჭირო არ არის. ეს სიცალიერე იწვევს მოუსვენრობას: ვგრძნობთ, რომ ჩვენი არ ესმით და რომ სიყვარულსაც არ შეუძლია შევლა. სალდათებსა და არა სალდათებს შორის გაიჭრა გაუვალი უფსკრული. ჩვენ ვერავის ვეყრდნობით“.

ერნსტის ერთერთი ამხანაგი ლუდვიგი ეუბნება მასავით ფსიქოლოგიურად განადგურებულ გეორგ რავეს:

— „რატომაა ასე ყველაფერი ეს, გეორგ, რატომ? იმიტომ, რომ მოგვატყუეს, მოგვატყუეს, მოგვატყუეს ისე, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ დაგვიფლეთთა ყველა ეს მოტყუება. მათ უბრალოდ გაგვცეს; ამბობდნენ: სამშობლო, — და მხედველობაში ჰქონდათ საოკუპაციო გეგმები ინდუსტრიისა; ამბობდნენ: ღირსება, — და მხედველობაში ჰქონდათ კინკლაობა და ხელისუფლების სიყვარული პატივმოყვარე დიპლომატებისა და თავადების მცირე ჯგუფში. ამბობდნენ — ნაცია, — და მხედველობაში ჰქონდათ უსაქმო გენერლების ქაველის დაამება. — ლუდვიგი არხევს რავეს მხრებში, — განა ეს შენ არ გესმის? სიტყვას „პატრიოტიზმს“ ისინი იწყებდნენ თავიანთი ფრაზიორობით; სახელის წყურვილით, ხელისუფლების სიყვარულით, ყალბი რომანტიკით, თავიანთი რევენობითა და ვაჭრული სიხარბით, ჩვენ კი მოგვართვეს ის, როგორც გასნივოსნებული იდეალი. ჩვენც ავითვისებთ ყველაფერი ეს, როგორც ხმები ჯანთარებისა, რომელნიც გვაუწყებდნენ ახალ, შესანიშნავ, ძალუმ ყოფას. განა შენ ეს არ გესმის? ჩვენ, თვითონაც არ ვიცოდით რატომ, ვაწარმოებდით ბრძოლას საკუთარი თავის წინააღმდეგ, და ყოველი ჩვენი ზუსტი გასარჩლა ხვდებოდა რომელიმე ჩვენთავანსავე. ჰო და, გამოგონე! მე ჩაგძახი შენ ყურებში: მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობა დარწმუნე-

ბული იყო, რომ ის აღსდგა თავისუფლებისთვის ბრძოლის მიზნით. და ყოველ ქვეყანაში მას ატყუებდნენ და ჰყიდდნენ, და ყოველ ქვეყანაში ის იბრძოდა ვიღაც სხვისი, მისთვის უცხო ინტერესებისთვის, ნაცვლად იმისა, რომ ებრძოლნა თავისი იდეალებისთვის; ყოველ ქვეყანაში მას ცხრილავდნენ ტყვიები და ის საკუთარი ხელებით თავისივე თავს იღუპავდა. განა ეს შენ არ გესმის? არსებობს მხოლოდ ერთი სახე ბრძოლისა: ეს არის ბრძოლა სიცრუის, ორჭოფობისა, კომპრომისებისა და ძველი ნაშთების წინააღმდეგ. ჩვენ კი მოვხვდით მათი ფრაზების ქსელში, და იმის ნაცვლად, რომ გვებრძოლნა მათ წინააღმდეგ, ვიბრძოდით მათთვის. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ვიბრძოდით შომაველისთვის, ვიბრძოდით კი მის წინააღმდეგ. ჩვენი მომავალი მკვდარია, რადგანაც ახალგაზრდობა, რომელიც მას ატარებდა, მოკვდა. ჩვენ მხოლოდ გადარჩენილი ნამსხვრევები ვართ მისი!! სამაგიეროდ ცოცხლობენ და იფურჩქნებიან სხვები—მაძღარნი, კმაყოფილნი, და ისინი უფრო მაძღარნი და კმაყოფილნი არიან, ვიდრე ოდესმე ყოფილან: რადგან უკმაყოფილონი, მემამბოხენი, მშფოთვარენი მოკვდნენ მათ ნაცვლად. მთელი თაობაა განადგურებული. მთელი თაობა იმედებისა, რწმენისა, ნებისყოფისა, ძალისა, ნიჭისა მოექცა ურთიერთის განადგურების ჰიპნოზს ქვეშ, თუმცა მთელს მსოფლიოში ამ თაობას ერთიდაიგივე მიზნები ჰქონდა“.

ლუდვიგის ამ სიტყვებში, მხოლოდ ერთხელ, ნათლად და მკაფიოდ არის აღნიშნული მსოფლიო ომის ნამდვილი შინაარსი. ასეთი პროტესტისთვის „დაბრუნების“ სხვა მომქმედნი პირნი ხმას არ იმაღლებენ.

სკოლის დამთავრების შემდეგ ერნსტი და მისი ერთერთი ამხანაგი ვილლი, სოფლად მიდიან და მასწავლებლობას იწყებენ.

ერნსტი ვერც ამ ახალ გარემოში ეწყობა. ბავშვები მისგან მოელიან ცოდნას, აღმზრდელობით ზეგავლენას, მაგრამ ერნსტი ატყობს, რომ არ შეუძლია აღზარდოს ისინი, რადგან თვითონ მოითხოვს ხელახალ აღზრდასა და შველას.

ეს ბავშვები წამოიზრდებიან, თვითეულ მათგანს საკუთარი ბედი დაჰყვება თან, ცხოვრების მორევი თავისი სურვილისამებრ აათამაშებს მათ. ისინი ახლა ცელქობენ სკოლაში, ზოგი საშუალო ნიჭითაა დაჯილდოებული, ზოგი მოსულელთა, მაგრამ ზოგის თვალეში კიანთობს რაღაც ნათელი. ერნსტი ფიქრობს ამ შთაგონებული სახეების გამო, რომ „მათთვის ყველაფერი თავისთავად გასაგები არ აღმოჩნდება მომავალში, რომ მათი ცხოვრება არ იქნება მყუდრო და ჩვეულებრივი“. მაგრამ მასწავლებელს არ შეუძლია მათი შველა.

რემარკი მშვენივრად აღწერს სოფლის ბუნებას. თავისი გმირის მარტოობასა და ხეტიალს ბუნების წიაღში.

ერნსტი ბოლოს ვერ უძლებს ამ მარტოობას და ქალაქს უბრუნდება: იწყება ისევ ცხოვრება ფრონტის ამხანაგებს შორის.

მაგრამ ამ ამხანაგებს შორის ბევრს ახალი უბედურებანი ეწვევათ. მაქს ვეილს ჰკლავენ მუშათა დემონსტრაციაზე (მისი ყოფილი ამხანაგის, ახლა ობერ-ლეიტენანტის გეელის ბრძანებით); ალბერტს სატრო ლალატობს და სიყვარულში იმედგაცრუებული ჯარისკაცი ჰკლავს თავის მეტოქეს; ლუდვიგი ძარღვებს გადაიჭრის.

რამდენადაც რომანი უახლოვდება ფინალს, იმდენად უფრო მიძიმდება უიმედობის ატმოსფერო. ამ დრამატიზმს რემარკი დიდის ოსტატობით გადმოგვცემს. რომანის უკანასკნელი ფურცლები — მთრთოლვარე ნერვებია.

იშვიათი პათოსით არის ნაჩვენები გეორგ რაგეს ტრაგიკული დასასრული. ეს ჯარისკაცი რწმუნდება, რომ შინ მას არ ეცხოვრება. მას ხელახლა ესმის შორეული გუგუნი, კანონადა, შეგნებული აქვს, რომ „რალაც გაუგებრობის გამო არ არის მოკლული და ეს ოდნავ სასაცილოდ ხდის მას“. რაგე იგონებს შეშლილ გიზეკეს ნათქვამს სავიჟეთოში, სადაც მან ერნსტისთან ერთად ინახულა თავისი ყოფილი ამხანაგი:

„— შენ გახსოვს, თუ რა სთქვა გიზეკემ? იქ, საავადმყოფოში? მას უნდოდა ჩასულიყო ფლერში [ომის ადგილას, ა. გ.], უკან, ფლერში—გესმის? ეგონა, რომ ეს განკურნავდა მას...“ და აი, გეორგ რაგე თვითონ ასრულებს შეშლილი ამხანაგის სურვილს: მას სურს ერთხელ კიდევ შეხედოს პირისპირ თავის წარსულს, იშოვის საზღვარგარეთის პასპორტს, მიდის მატარებლით, გზაზე გადმოხტება და მიისწრაფის იმ ადგილისაკენ, სადაც რამდენიმე წლის წინათ ომი სწარმოებდა. აქ წვანან მისი ამხანაგები, მთელი თაობა განადგურებული იმედებით, თაობა მოტყუებული და ასე უსინდისოდ სიკვდილისათვის ნაჩუქები.

გეორგ რაგე სირბილით მიდის ველზე. მთელი გარემო გადასხვაფერდება მის გონებაში, ცოცხლებიან მოგონებები, მის წინ აღიმართებიან შავი ჯვრები, რაგეს საშინელი ჟრუჟანტელი და თრთოლვა აიტანს.

„ის ძლივს სუნთქავს.

— ამხანაგებო! — იძახის ამ ლამესა და ქარში, — ამხანაგებო! ჩვენ გაგვცეს! ერთხელ კიდევ წინ — ლაშქრული მარშით! გამცემლობის წინააღმდეგ, ამხანაგებო!

ის დგას საფლავის ჯვრების წინაშე, მთვარე გამოდის ღრუბლებიდან, ის ხედავს, როგორ ელვარებენ ჯვრები, ისინი სდგებიან მიწიდან გაშლილი ხელებით, აი უკვე მოისმის ნაბიჯების ხმაური, ის სალაშქროდ მოუწოდებს ადგილიდან. სწევს ხელს მაღლა:

— წინ, ამხანაგებო!

და ხელს უშვებს ჯიბეში და ისევ სწევს მაღლა... დაღლილი, ერთადერთი გასროლა, რომელსაც გაიტაცებს და წაიღებს მოვარდნილი ქარი, — დატორტმანებული რაგე მუხლებზე ეარდება, ეყრდნობა ხელებს და უკანასკნელი ძალის მოკრებით მიბრუნდება სახით ჯვრებისაკენ, — ის ხედავს, როგორ დაიძრნენ ისინი ადგილებიდან, ისინი ხმაურობენ და მოძრაობენ, მიდიან ნელა და მათი გზა შორეულია, ძალიან, ძალიან შორეული; მაგრამ ამ გზას მიჰყავს ისინი წინ, ისინი მიაღწევენ მიზანს და

გამართავენ უკანასკნელ ბრძოლას, ბრძოლას სიცოცხლისთვის; ხმა-
ამოუღებლად მიაბიჯებენ ისინი — ბნელი არმია, რომელმაც უნდა გაი-
აროს უშორესი გზა, გზა კაცობრიული გულისაქენ; გაივლის მრავალი
წელი, სანამ ისინი დაასრულებდენ ამ გზას, მაგრამ რას ნიშნავს
დრო მათთვის! ისინი დაიძრენ გზად, ისინი მიდიან ომში, ისინი
მიდიან, მიდიან.

მისი თავი ნელა ეშვება ძირს, ირგვლივ ბნელდება, ის ეცემა სახით
წინ, მბრძანებლობს ლაშქარს ჯვრების საერთო მსვლელობაში. როგორც
მოხეტიალე შვილი, მრავალი ყიალის შემდეგ შინ დაბრუნებული, ხე-
ლბებაშლილი წევს იგი მიწაზე. თვალები უმოძრაო აქვს; მუხლები მო-
კეცილი. სხეული ერთხელ კიდევ შეცახცახდება, შემდეგ სიზმარი იფ-
ლობს მას და მხოლოდ ქარი თარეშობს უდაბნოსებურ ცარიელ სივრცე-
ში. ის ქრის და ქრის ღრუბლებს ზემოთ, ცაში, დაუსრულებელ ველებ-
ზე, რომლებიც გადათხრილია ხვიშირებით, სანგრებითა და საფლაკებით“.

აქ თავდება რომანი.

ეპილოგში ერნსტი გადახედავს თავისი ცხოვრების გზას და ეძებს
გამოსავალს.

„ჩემი ცხოვრების ნაწილი მოხმარდა განადგურების საქმეს, მას
შერთავდა სიძულვილი, მტრობა, სიკვდილი. მაგრამ მე გადავრჩი. თუნდაც
მარტო ამაშია — გზა და ამოცანა“.

ერნსტი თითქოს ნახულობს გზას; ეს არის — შრომა! „შეიძლება ამ
გზის რომელიმე საფეხურზე მე ვიპოვი თამანგზავრს, მაგრამ არა მგო-
ნია, რომ მუღმივს“. — ამბობს ერნსტი და ცოტა ქვემოთ დასძენს: „შე-
იძლება არასოდეს ბედნიერი არ ვიქნე, შეიძლება ომმა ამის შესაძლებ-
ლობა დაამსხვრია და ყოველთვის დავრჩე ოღნავ განმარტოებული და
არსად არ ვიგრძნო თავშესაფარი, მაგრამ არასოდეს, ვფიქრობ, არ
ვიგრძნო თავი უიმედო განწირულად, რადგან ყოველთვის იქნება რაღაც,
რომელიც დამეხმარება, თუნდაც ჩემივე ხელები, ან მწვანე ხე, ან მიწის
სუნთქვა“.

„დაბრუნება“ უშუალო გაგრძელებაა ავტორის პირველი წიგნისა
„დასავლეთის ფრონტი უცვლელია“. ჩვენ აქ ვხვდებით საერთო სახეებს.
პირველი წიგნი ფრონტზე მებრძოლ ჯარისკაცთა ყოფას გვიჩვენებს,
მეორე წიგნი კი — შინდაბრუნებულთა ცხოვრებას.

ამ ორ რომანს შორის რომ შინაგანი კავშირი არსებობს, ჩანს პაულ
ბოიმერის სიტყვებიდან წიგნში „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“:

„ჩვენ შეგვეძლო დავბრუნებულიყავით იქ (ე. ი. შინ, ა. გ.) მაგრამ
მოვახერხებდით კი ცხოვრებას? ჩვენ უმწეონი ვართ და გამოცდილნი
როგორც მოხუცები; ჩვენ უხეშნი ვართ, დასევდიანებულნი და ზედაპი-
რულნი; მე ვფიქრობ, რომ ჩვენ დავიღუბეთ“.

ზედმეტია იმის აღნიშვნა, თუ რამდენად დიდია რემარკის ამ ორეწიგნის საზოგადოებრივი ღირებულება, განსაკუთრებით დღეს, როცა ფაშისტური გერმანია კიდევ ცდილობს ახალი თაობის ხელახალ მოტყუებას და ომში ჩათრევას.

„დაბრუნების“ ეპილოგში აღწერილია სცენა, როგორ ხედებიან ერნსტი და მისი ამხანაგი სამხედრო ვარჯიშზე გაყვანილ ყმაწვილებს, — მომავალი ომის მსხვერპლებს!

რემარკის „დაბრუნება“ დაწერილია 7 წლის წინათ და მას არც დღეს დაუკარგავს თავისი აქტუალური მნიშვნელობა. გამოწვეულია ეს თვითონ ნაწარმოების იშვიათი ლიტერატურული ღირებულებით.

ავტორის პაციფიზმი, თუ ჩვენგან კრიტიკულ დამოკიდებულებას მოითხოვს, სამაგიეროდ მწერლის ტალანტის შესახებ არ შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა არსებობდეს — რემარკი იშვიათი დამკვირვებელია და არაჩვეულებრივად გულწრფელი მხატვარი.

მწერალი თავს უყრის ყველა მოტივს ერთს ფოკუსში, ამიტომ წიგნში უნდაგრესად ყურადღებას იქცევს თემატიური აქცენტი — შინ დაბრუნებულთა ფსიქოლოგია — და არა ხასიათების მრავალფეროვნება.

რემარკი კარგად ფლობს დეტალების გადმოცემის ხერხს, ის რამდენიმე შტრიხით ხატავს ქუჩის პროფილებს, პეიზაჟებს, კოლორიტულ ხასიათებს, რომელნიც ეპიზოდურად იჭრებიან წიგნში (მაგ. კარგია ლუდხანის მუღობელის, ყოფილი ფელდფებელის ზელიგის პორტრეტი).

„დაბრუნებაში“ ყველანი ლაპარაკობენ იმაზე, რაც მათ სტკივთ. ამ მხრით რემარკის მეთოდი რადიკალურად განსხვავდება ერნესტ ჰემინგუეის მეთოდისაგან *).

ორივე მწერალმა — ერთმა ამერიკაში, მეორემ კი ევროპაში — სხვადასხვანაირად, მაგრამ დიდის გულწრფელობით მოუთხრეს კაცობრიობას ომში განადგურებული თაობის ტკივილებზე. ორივე მწერლის წიგნებში იგრძნობა სიყვარული ადამიანისადმი.

ერის მარია რემარკი მთრთოლვარე გულით მიდის ადამიანთან, ერნესტ ჰემინგუეი კი — სკეპტიკოსის თავდაჭერილობით.

*) ჰემინგუეის შესახებ იხ. ჩემი წერილი ამავე ჟურნალის № 9-ში.

ს. ხუციშვილი

აკაკი წერეთლის კერძო წერილები

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებაში დაცულია აკაკი წერეთლის მიწერილი წერილები სხვადასხვა პირებთან. ეს წერილები შენახულია საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდში № 1490, ავტოგრაფი № 30. წერილებზე წითელი ფანქრით აღნიშნული ნომერაციის მიხედვით სულ უნდა იყოს 29 წერილი, მაგრამ ახლა მხოლოდ ცხრამეტია. მათგან სამი წერილი მიწერილი ეკატერინე გაბაშვილისადმი გამოქვეყნდა 1938 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (№ 18, 24/VII). დანარჩენი გამოუქვეყნებელია. წერილების ეს რაოდენობა, რასაკვირველია, მეტად მცირეა და მომავალი მუშაობა, რომელიც ამ ახლო ხანში უნდა ჩატარდეს აკაკის ხელნაწერების მოგვარებისა და აღნუსხვა-დალაგების საქმეში, მთლიანად გამოაჩენს საყვარელი და სახელოვანი პოეტის შემოქმედების ყოველ მხარეს.

აკაკი წერეთლის კერძო წერილები გამოყენებული და გამოქვეყნებული უნდა იქნენ, როგორც მნიშვნელოვანი მასალა ბიოგრაფიისათვის, რაც მით უფრო საჩქაროა, რომ ახლოვდება აკაკის დაბადებიდან 100, ხოლო გარდაცვალებიდან — 25 წლისთავი, რასაც საბჭოთა საზოგადოებრივობა 1940 წელს შესაფერად აღნიშნავს. ყველგან იბეჭდება რამდენიმე წერილი. ზოგიერთებს დართული აქვთ შენიშვნები მოხსენებულ პირთა და ამბების შესახებ.

წერილი ნიკო ნიკოლაძისადმი.

(დაწერილია 1871 წელს. თარიღი წერილის დასასრულსაა მიწერილი სხვა მელნით. ალბათ ადრეჯატის მიერ).

ნიკო! წუხანდელმა ჩვენმა გაკერა-გამოკვრიტმა ბაასმა სამუდამოდ შეურყევლად გამიმტყიცა ის ჰაზრები, რომელიც მე, როგორც ბევრის შემთხვევის რეზულტატები, შენზედა მქონდა და ნათლადც დამანახვა, რომ მე და შენ შუა, თუ ჩვენს ერთგანში რამე გამოცვლა არ მოხდა, ისეთი საზღვარი ძევს და კიდევ იდება, რომელიც ერთმანეთზედ ახლოს აღარ მიგვიშვებს და თუ შემთხვევით ჩვენს ცხოვრების მსვლელობის დროს ორივე ერთი მიზნის მუშა ვიქნებით და ერთს გზაზე მიმავალი, დარწმუნებული ვარ ერთმანეთს ხელს არ შეუშლით, მაგრამ არც კი ხელი ხელს მიესცემთ ტკბილ სასაუბროდ! არ გეგონოს რომ ამას ან წამითი სიცოფე მაწერიებდეს, ან კერძო რამე პირადობა. მე, არაღ თუ შენს, ყველას პირადობას ამ აწოროს, და შენც შენის მხრით თუ შენს სინდისს ჩაეკითხები, მიზეზი არა გაქვს ჩემთან საპირადო: იმას ვერ იტყვი, რომ ჩემს ღღეში ან საქმით და ან სიტყვით შენთვის რამე შეგნოს-მეწყენინებინოს. ამაზედ ჩემდა თავად მე შემძლია დავამატო, რომ მე ჩემს ღღეში გულის თქმითაც არ მიწყენინებია-თქო. — მაგრამ გულის ანგარიშები შენი საქმე არ არის. გიორგი წერეთლისა არ იყო იმდენათ გაფასებ, რომ არ მინდა რაზე დაგიმალო და რაც კი ჩემს გულშია შენ შესახები გეუბნები: ამ ათის წლის წინეთ ტკბილი გულის ძგერით ეწყურებდი ყოველს შენს მოქმედებას. მართალია მაშინდელი შენა მოქმედება ბევრი ძალიან ბავშვური იყო, მაგრამ უმისობაც არ შეიძლებოდა.

რადგანაც ის იყო ხარკი ყმაწვილობის, რომელიც ხანში შესვლისა და დადარბაის-
 ლებისა შემდეგ, თავის-თავად ქერწლივით უნდა გაგცვენოდა. დღეს კი სულ სხვა
 გვართ უნდა ავხსნა შენი მოქმედება. — მე ვფიქრობ, რომ შენი მაღალი ნიჭი, შენო
 სწავლა და შენი ცხოვრებაში დახედნა საზოგადოთ, თუ მანგრე იქენი შენი, ფეხს
 წაამტვრევინებს იმ საქმეს, რომელსაც ახალთავობა უნდა მისდევდეს და ეს იქნება
 შენი თავმოყვარეობის ბრალი!.. შენი, არ ვიცი კი რა ანგარიშით, ყოველთვის სცდი-
 ლობ რომ შენში ის ბუნებისაგან მონიჭებული გრძნობა, ის გრძნობა, ურომლისოთაც
 არაფერი კეთილი საქმე არ ჰგვირგვინდება, მოიკლა და უნაყოფოთ მოაშთო. დარ-
 წმუნებული ვარ, როდესაც შენ შენი გულის ბგერა გესმის, მაშინ შენს თავს ეფი-
 ცები. ეს გული კი არ ძგერს, კუჭი კუჭყუნობს და იქაც არ გინდა გამოუტყდე თავს!...
 მიკვირს რათა? აი ეს მიზეზია, რომ ყოველს შენს მოქმედებას არსად ეგოიზმის ბე-
 ჰედი აზის და არა საზოგადო კეთილის სურვილის. შენ გინდა მხოლოდ, რომ
 გაპკიოდე: „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“ და სხვებიც გარს შემოხვეული შემოგპკიოდნენ:
 კი ბატონო „შენ ხარ და შენი ნაბადიო“ და სხვა... აი ამ საქმისთვის კი გასწირავ
 შენ შენს თავს... მრწამს!... განგიმეორებ. პირადობათ არ ჩამომართვა ეს მოწერა. დარ-
 წმუნდი, სანამ მე ჩემი ქვეყანა მიყვარს, ე. ი. სანამ პირში სულ მიდგია, ჩემს გულ-
 ში შენ გვარ კაცებს წმინდა ადგილი ექნება და დღესაც ის მიზეზია, რომ მე მსურს
 მოგაგონო შენი გული და ჩაგახედო შიგ. დეე აღიძრას ამით აწი ჩემდამი პირადი
 მტრობა, ოღონ კი შენს უფერ-თავ-მოყვარეობას აეხილოს თვალი. ნუ გჯერა იმ
 ვითომ შენი მეგობრების, რომლებიც ამის წინააღმდეგს გელაპარაკებიან პირში.
 სტყუიან, მონურად ან ფარისევლურად. განგიმეორებ, იმის სახელით, რაც პატიოს-
 ნური ახალთაობას შეჰფერის, ცოტა ხნით მიდევ კუთხეში თავ-მოყვარეობა. ჩაიხედე
 შენს გულში და ისე იმოქმედე. მშვიდობით. (მშვიდობით სამუდამოდ — წაშლი-
 ლია. ხ. ხ.).

ა. კ. წერეთელი.

წერილი ალექსანდრე მირიანისძე ჟუკონიასადმი.

(დაწერილია 1903 წლის ოქტომბერში).

დიდათ პატივცემული ბატონო ალექსანდრე! ¹⁾ თქვენმა წერილმა თქვენის კარგად
 ყოფნის ამბით მასიამოვნა. მაგრამ იმავე დროს დიდადაც გამაოცა: ერთი მიბძანეთ:
 ან თქვენ, როდის და როგორ მომცით შემთხვევა, რომ მე თქვენზე ის მეფიქრა, რაც
 თქვენვე გგონიათ? და ან მე როდის და რით მიგიყვანეთ იმ დასკვნამდე ჩემის მხრით,
 რომ ეგ იფიქროთ ჩემზე? „თამარ-ცბიერი“ დაიბეჭდა იმ დროს, როცა თქვენ არა თუ
 არც რედაქტორი და არც ნაფიცი ვეჭილი არა ყოფილხართ!... ²⁾ როგორც ვფიქრობ,
 სულაც არ ბრძანებულხართ აქ მაშინ ბ. კეზელმა ³⁾ დაწერა სტატია „ობოზრენიაში“,
 რომელმაც პასუხი გამოიწვია და რედაქტორმა სტეფანოვმა ⁴⁾ მხარი დაუჭირა თავის
 თანამშრომელს. მე ეს ამბავი, რადგანაც, საზოგადოდ სიტყვამ მოიტანა, გავიხსენე
 ჩემს თავ-გადასავალში და, დასახელება პირის არ დაეინახე საქიროდ, რადგანაც მე

¹⁾ ალექსანდრე მირიანისძე ჟუკონია (1855 — 1907), მთარგმნელი
 ევროპელ მოგზაურთა ნაშრომებისა, ჟურნალ „მოამბის“ რედაქტორი 1894 — 905 წ.წ.
 მრავალ კულტურულ საქმიანობის მონაწილე.

²⁾ „თამარ-ცბიერი“ — დრამატიული პოემა 4 მოქმედებად, დაიბეჭდა მელიქიშვი-
 ლის სტამბაში 1886 წ. — შემდეგ აკაკიმ მას მეხუთე მოქმედება ჩაუმატა და ისე და-
 ბეჭდა 1889 წელს თავის „კრებულში“. 1886 წელს ალ. ჟუკონია უკვე ნაფიცი ვეჭილი
 იყო და თბილისშიც მოღვაწეობდა.

³⁾ კეზელი დავითი (1854 — 1906), მისი ფსევდონიმებია „ზოილი“, „და-
 ვით სოსლანი“, „არაგველი“. სხვადასხვჯ ქართულ და რუსულ გაზეთების თანა-
 მშრომელი.

⁴⁾ სტეფანოვი (1844 — 1887), რედაქტორი გაზეთებისა „Юридическое
 обозрение“ და „Новое обозрение“. ში. სწერდა წერილებს „სააკოს“ ფსევდონიმით.

არც გულში ჩარჩენა ვიცი რისამე საბოროტოდ და სამაგიეროს გადახდა; თორემ რაც სხვებს ჩემთვის უბრალოდ უწყენინებიათ, ყველას რომ ავყოლოდი და ყველა დამეწყო, ძალღალად გადავიქცეოდი, არა ბატონო ალექსანდრე, დარწმუნდი, რომ მე თქვენზე უკეთესი აზრისა ვარ, ვიდრე თქვენ გგონებიათ.

თქვენი პატივისმცემელი აკაკი.

წერილი მოხე ქიქოძისადმი.

ბატონო მოსე ათანასეს ძე!

გადავიკითხე თქვენი ბიოგრაფია გაბრიელის¹⁾ შესახებ და გამიკვირდა!.. მას შემდეგ, რაც თქვენ „ძველ აღთქმას“ ზურგი შეაქციეთ და საპირადო გზას დაადექით, ჩვენ შორის მეგობრული კავშირი გაწყდა და მეც ჩვეულებისამებრ ისა ვსთქვი, რასაც სხვებზე ვანზობდი: „მიუტევე რათა არ იციან და სხვანი“. მაგრამ დღეს კი ვხედავ, რომ თურმე ეს შენდობაც ვერ გაგამართლებთ, როგორც შეგნებულს, საზოგადოებაზე ჯერ არას გეტყვი და მხოლოდ საპირადოს მიემართავ, რადგანაც არ მინდა გულში ჩავიჩინო, თქვენ შესახებ რაიმე ძვირი!.. როდესაც საზოგადო კრებამ მე საზრდო გამიჩინა, ზოგიერთ ინტელიგენტებს, დღეს რომ სათათურში უდგიან საქმეს, ისრათ მოხვდით გულში და ყოველგვარი საძაგლობა ჩაიღინეს, რომ ეს საზოგადოების სურვილი როგორმე გაექარწყლებიათ, მაგრამ, რომ ველარ მოახერხეს, მერე სხვა გზას დაადგენ: თვით მნებელობით მომისპეს და მათ სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა, როდესაც გაიგეს, რომ აკაკი თურმე დასნეულებულა და თუ საზღვარს გარეთ არ გავიდა, დღე დაუმოკლდებაო და ახლა გვაქვს დრო მოუჭიროთ ხელიო!.. ამის საბუთები ხელში მიჭირავს, ის უეჭველი საბუთები, რომელიც საშვილიშვილო ტაბლად დაედგმის თვითეულ მათგანს. თქვენც, მათ ფერხულში იყავი ჩაბმული. მე მჯერა, რომ თქვენი განზრახვა გულწრფელი იყო, პირადობა კი არა გქონიათ რა ჩემთან, მხოლოდ მდევნიდით როგორც ქვეყნისათვის თქვენი აზრით მავნებელ კაცს. თქვენი ქვეყნისავე ერთგულებით პრინციპს ველარ უღალატეთ—თუმცა სხვა დროს კი ის პრინციპი სულ სხვა ნაირად შეგათამაშებთ ხოლმე, როგორც თქვენივე ამხანაგები ამტკიცებენ. დაახ! ძნელია პრინციპის დალატი და მიტომაც ჩემ შესახებ აღარას გეტყვი, მაგრამ, რადგანაც შეიძლება უკანასკნელიც იყოს ჩემი გამოლაპარაკება, საზოგადოს შესახებ კი მოგაგონებთ, რომ მოიხედოთ უკანვე და ხანდახან საზოგადოებისათვის იფიქროთ ხოლმე ნუ დავივიწყებთ, რომ ამ სტატიის დამწერს ბევრი მოე-თხოვება და ცოტა შეენდობა²⁾.

თქვენი პატივისმცემელი აკაკი.

წერილი მარიამ ბესარიონის ასულის ხელთუბლიშვილისადმი.

(დაწერილია საფოსტო ქაღალდის ერთი ფურცლის ცალ გვერდზე. მეორე გვერდზე დაწებებულ პატარა ქაღალდზე სწერია: მისს მაღალ-კეთილშობილებას, მარიამ ბესარიონის ასულს ხელთუბლიშვილისას).


თქვენო ჩაკრასივებულობავ!

ჯერისამებრ ფრაკში გამოკიმული და გამზრესტიანებული გიახელით გუშინ, მაგრამ ვერ ველირსე თქვენს ხილვას და რადგანაც პალტო გახდილი ვიციდილი გარეთ უმეტეს ნახევარის საათისა, ამისათვის გავხდი ავათ და ისე ღმერთმა მოყვარე. გავიხადოსთ მე ვიყო. ასე რომ ჩემი მორჩენა არაფერს შეუძლია, თუ „აზბუკასი-ციიანდინაუკ“ არ გამომიგზავნეთ ამის მომტანის ხელით.

უმორჩილესათ აკაკი.

1) გაბრიელ ეპისკოპოსი, ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძე.

2) წერილი უშუალოდ არის დაკავშირებული იმ ამბებთან, რაც აკაკის აღწერილი აქვს „ჩემი თავგადასავლის“ დამატებაში — „მე და ჩემი პენცია“.



მირზა-ფათალი ახუნდოვი

ახერბაიჯანელი ლიტერატურის კლასიკოსი, ცნობილი პოეტი, დრამატურგი და ჰუმბლიცისტი, თურქული შრიფტის რეფორმატორი მირზა-ფათალი ახუნდოვი დაიბადა 1812 წელს ირანიდან გადმოსახლებულ ნუხელი ვაჭრის ოჯახში. ოჯახური უთანხმოების გამო მისი მშობლები ერთმანეთს გასცილდნენ და პატარა მირზა იზრდებოდა მახლობელ ნათესავის სასულიერო პირის ახუნდ ჰაჯი ალესკერის ზღმძღვანელობით, რომელიც თავის დროის დიდად განვითარებულ ადამიანად ითვლებოდა, ახუნდის შეოხებით მირზამ მიიღო რელიგიური აღზრდა, შეისწავლა ყურანი, არაბული და ირანული ენები და დაეწაფა აღმოსავლეთის მეცნიერებას.

1826 წელს დაიწყო რუსეთ-ირანის ომი და მირზა თავის მამობილით განჯაში გადასახლდა. შემდეგ ალესკერი მექაში გაემგზავრა და თავისი შვილობილი, პატარა მირზა, აღსაზრდელად დაუტოვა განჯაში მცხოვრებ ახუნდ მოლა ჰუსეინს, რომელმაც ყმაწვილს შეასწავლა არაბული ლოდიკა და აღმოსავლეთის მეცნიერების სხვა დარგები. განჯაში ცხოვრების დროს მომავალი მწერალი ზედება იმ დროინდელ ცნობილ პოეტს მირზა შაფის, რომლის ლექსები თარგმნილი იყო ევროპულ ენებზე. ამ პოეტმა მირზა-ფათალიზე უდიდესი გავლენა იქონია. მისი გავლენით ახუნდოვმა უარი სთქვა სასულიერო პირად გამოსვლისათვის მზადებაზე, გადასწყვიტა რუსული ენისა და რუსული ლიტერატურის შესწავლა.

მექიდან შიხი მამობილის ალესკერის დაბრუნების შემდეგ მირზა შედის ნუხის ახლადგახსნილ სახაზინო სასწავლებელში, იქ სწავლობდა მხოლოდ ერთ წელიწადს, შემდეგ 1834 წელს ეწყობა თბილისში მეფის ნაცვლის კანცელარიაში აღმოსავლეთ ენების შთარგმნელის თანაშემწედ ბარონ როზენტანს.

თბილისში გადმოსვლიდან იწყება მირზა-ფათალის ცხოვრებაში ახალი ხანა. ის თავს აღწევს თავის მამობილის სარწმუნოებრივ გავლენას და იწყებს დამოუკიდებელ ცხოვრებას. უცხო წრეში მოხვედრილი ახალგაზრდა სწავლობს რუსულ ენას და ლიტერატურას, თავისუფალ დროს კითხულობს ლომონოსოვის, დერჟავინის და პუშკინის თხზულებებს, ეწაფება ევროპის და რუსეთის ისტორიის, გეოგრაფიისა და ყოფაცხოვრების შესწავლას, აქვე ეცნობა და უახლოვდება რუსეთიდან გადმოსახლებულ დეკაბრისტს ა. ა. ბესტუეოვს, რომელიც შემდეგში თარგმნის პუშკინის სახსოვრად დაწერილ მის აღმოსავლეთურ პოემას. უახლოვდება აგრეთვე ი. პ. პალონსკის, გრაფ ვ. ა. სოლოგუბს, სომეხ მწერალს ხაჩატურ აბოვიანს, ორიენტლისტებს ადოლფ ბერეს და სხვებს.

შემდეგში მირზა ფათალი ახუნდოვს გაიტაცებს ფილოსოფიური და ეკონომიური მეცნიერებანი და გაძლიერებულად იწყებს მის შესწავლას. მისი ბიოგრაფიიდან

ცნობილია, რომ ის ზედმიწევნით კარგად იცნობდა ჯონ სტუარტ მილის ნაწერებს, შონტესკის ირანულ წერილებს, ბაუერის — ფილოსოფიის ისტორიას, ბოკლის — ცივილიზაციის ისტორიას ინგლისში, ვოლტერის, დიდროს, ჰოლბახის და მე-18 საუკუნის სხვა მატერიალისტების ფილოსოფიურ წერილებს.

ამ დიდი მეცნიერებისა და მოაზროვნეების ზეგავლენით ახუნდოვი თვითონ იწყებს ფილოსოფიურ წერილების წერას. მის ფილოსოფიურ-პოლიტიკურ წერილებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ინდოეთის პრინციის ქემალ ულდოვლეს წერილები ირანის პრინციის ჯელალ ულდოვლესადმი და პასუხი უკანასკნელისა. ეს მიმოწერა წარმოადგენს ერთგვარ ტრაქტატს, სადაც რელიგიურად გამოქვლიანებული ახუნდოვის სოფლმხედველობა. ამას გარდა ამ ნაწარმოებით ახუნდოვმა შემოიღო თურქულ ლიტერატურაში მწერლობის ახალი ენარი. ეს ენარი ამხანებში დიდად იყო გავრცელებული დასავლეთის ლიტერატურაში, მაგრამ შემოდდასახელებული ნაწარმოები მარტო ამით არ არის ღირსშესანიშნავი. ამ ნაწარმოებით ახუნდოვმა მოგვცა მუსულმანობის ძირითადი საფუძვლების, სარწმუნოებრივი სწავლის, ფეოდალურ-დესპოტური სახელმწიფოს და ირანის მართველ არისტოკრატიულ ხროვის ბრწყინვალე და საუცხოო კრიტიკა, რასაც ჰქონდა თავის დროზე უაღრესად დიდი პროგრესიული მნიშვნელობა.

ახუნდოვი ღრმა კრიტიკას უკეთებს ძველ ქვეყანას, მის ადათწესებს და ქადაგებს მატერიალისტურ იდეებს. ახუნდოვი ხალხის ხსნას ევროპის ცივილიზაციაში ხელდავდა, იბრძოდა დესპოტური წყობილების დამხობისთვის და კონსტიტუციურ საფუძველზე ევროპული წესების დამკვიდრებისთვის, აყენებდა პროტესტანტიზმისა და ისლამის ძირითადი რეფორმის იდეას, როგორც დროებით ზომას საერთოდ რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. მას რელიგია მიაჩნდა ლეგენდად და უქმ ლაყბობად.

მირზა ფატალის დაწერილი აქვს აგრეთვე მრავალი პუბლიცისტური და კრიტიკური წერილები, სადაც ის გამოდის, როგორც ღრმადმორწმუნე მატერიალისტი. ის ემყარება მე-19 საუკუნის ფრანგ მატერიალისტების სწავლას.

მირზა-ფატალი ახუნდოვი მრავალმხრივი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იყო. ის არის მამამთავარი და ფუძემდებელი ახალი თურქული ლიტერატურის და დრამატურგიისა, აზერბაიჯანის მე-19 საუკუნის კულტურულ ცხოვრებაში მან უდიდესი როლი ითამაშა. განსაკუთრებით დიდია მისი დამსახურება სამწერლო ასპარეზზე. მის ნაწერებზე აღიზარდა რევოლუციამდელი აზერბაიჯანის მწერალთა რამდენიმე თაობა. შან პირველმა რეალისტურ ფორმით ასახა იმ დროინდელ თურქთა ცხოვრება და პირველმა განასახიერა თურქულ ლიტერატურაში ქალის ტიპი. სულ ექვსი წლის განმავლობაში ეწეოდა მწერლობას (1851 — 57 წ.) და ამ ხნის განმავლობაში ბევრი უკვდავი ნაწარმოები შექმნა. 1851 წელს მან დასწერა სამი კომედია: „ალქიმისიკოსი მოლა იბრაგიმ ხალილი“, „ფრანგი ბოტანიკოსი ბატონი ჟორდანი და დერვიში მასტალიშაჰი“ და „სარაბეთის ხანის ვეზირი“. ამ კომედიებმა მას დიდად გაუთქვეს სახელი და დაუმკვიდრა თურქთა „მოლიერის“ სახელწოდება. ახუნდოვი სწერდა აგრეთვე შოთხრობებს და ეწეოდა პუბლიცისტურ მოღვაწეობასაც. ახუნდოვი თავისი შემოქმედებით ებრძოდა თანამედროვე თურქთა ცხოვრების უარყოფით მხარეებს. მის ნაწარმოებებში განსაკუთრებით გაქირადულია ცრუმორწმუნეობა, სიბნელე-უცილობა და პირბადე ახილი აქვს მოღების, დერვიშების, ვაჭრებისა და ბეგების თვალთმაქცობასა და გაიძვერობას. მისი მახვილი და ძლიერი სატირა მიმართული იყო ფეოდალური და ბიუროკრატიული ჩაგვრის წინააღმდეგ და საშუაროზე გამოყავდა თავისი თანამედროვე ცხოვრების თაღლითები და გარყვნილები.

ახუნდოვმა აზერბაიჯანის გასული საუკუნის ლიტერატურაში შექმნა მთელი სკოლა და თურქი მწერლები ნ. ნარიმანოვი, ნ. ვეზიროვი, ა. ახვერდოვი, მამედ ყული ზადე და სხვები ამა თუ იმ ფორმით განიცდიდნენ მის გავლენას.

ახუნდოვის დიდი დამსახურება აზერბაიჯანის კულტურის წინაშე მარტო ზემოაღნიშნულით არ ამოიწურება. ახუნდოვი თავისი ერის, თავისი ხალხის გულწრფელი გულშემატკივარი იყო და ის კულტურის ყველა ფრონტზე მუშაობდა. დიდია მისი

დამსახურება ახალი თურქული აღფავიტის შედგენის საქმეში. არაბული აღფავიტი, რომელიც მის დროს საფუძვლად ედგა თურქულ დამწერლობას, მრავალ უხერხულობას და სიძნელეს შეიცავდა. თურქულ ენაზე სწავლა-განათლების გაუვრცელებლობის ერთერთს მიზეზს აღფავიტის ეს სირთულე-სიძნელეც წარმოადგენდა. მან შეადგინა ახალი აღფავიტის პროექტი, დასწერა წერილები და ბროშურები ამ საგანზე, იბრძოდა აღფავიტის განახლებისთვის, გაემგზავრა სტამბოლს, დააყენა ეს საკითხი იქაურ მეცნიერებათა აკადემიაში, თითქოს მის პროექტს იწონებენ, მაგრამ საბოლოოდ მას უარყოფენ.

ახუნდოვის პროექტი ითვალისწინებდა არაბული აღფავიტის ნაცვლად ლათინურ-რუსული კომბინირებული აღფავიტის შემოღებას, რაც განხორციელებულ იქნა აზერბაიჯანში და შემდეგ საბჭოთა სხვა რესპუბლიკებშიც მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

მისი ერთადერთი მოთხრობა „გაცრუებული ვარსკვლავები“ შეიცავს თავისი დროის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მისი დაკანონებულ წესების ღრმა და მწვავე კრიტიკას. თუმცა საცენზურო პირობების გამო მოთხრობის შინაარსი ირანის ცხოვრების ფონზეა გაშლილი, მაგრამ იქ კარგად ჩანს სისხლისმსმელ ნიკოლოზ მეფის მოხელეებისა და თურქ ხანების და ბეგების სახეები.

მირზა-ფატალი ახუნდოვის დრამატული ნაწარმოები „ხანის ვეზირი“ თარგმნილია ქართულ ენაზე ჩვენი უკვდავი პოეტის აკაკი წერეთლის მიერ, რაც დადგმულ იქნა 1895 წელს ქართულ სცენაზე და დაიბეჭდა 1898 წელს აკაკის კრებულში. მისი პიესა „ძუნწის თავგადასავალი“ ქართულ ენაზე თარგმნილია ცნობილი დრამატურგის შალვა დადიანის მიერ. პუშკინის სიკვდილზე დაწერილი აღმოსავლური პოემა გადათარგმნა ცნობილმა პოეტმა ი. გრიშაშვილმა.

აზერბაიჯანის ლიტერატურის ეს დიდი კლასიკოსი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ხალხის სამსახურსა და კულტურისათვის ბრძოლაში გაატარა, გარდაიცვალა ქალაქ თბილისში სამოცი წლის წინათ 1878 წელს 10 მარტს და დასაფლავებულია თბილისშივე მუსულმანთა ყოფილ სასაფლაოზე.

გ. შიგუკი.

შიო მღვიმელი

დიდი წარსულის მქონე ქართულ ლიტერატურაში შიო მღვიმელს საპატიო ადგილი უჭირავს. შიო იყო პირველი ქართველი პოეტი, რომელმაც სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველ წლებშივე იგრძნო საბავშვო ლიტერატურის დიდი მნიშვნელობა და საქირობა და, მთელი სიცოცხლის მანძილზე ძირითად სამოღვაწეო სარბიელად საბავშვო პოეზია გაიხადა.

შიო მღვიმელი (ქუჩუყაშვილი) დაიბადა 1866 წლის თებერვალში, სოფელ ბრეთში, ყოფილი გორის მაზრის. მამა ადრე გარდაეცვალა. ობოლ შიოს მეტად მწვავე პირობებში უხდებოდა სწავლა. სწავლობდა გორში, სადაც 1887 წელს დაასრულა ოთხკლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი.

1887 წლის შემოდგომაზე შიო მღვიმელი თბილისს ეწვია და მუშაობა დაიწყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, სადაც მსახურობდა 1909 წლამდის. ამის შემდეგ 1923 წლამდის მუშაობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთის რედაქციებში.

შიოს პირველი ლექსი („დილა“) დაიბეჭდა 1885 წელს ივანე მაჩაბლის გაზეთ „დროებაში“. ეს ლექსი არ იყო საბავშვო, მაგრამ პოეტი საბავშვო ლექსებსაც ამავე წლებში წერს.

მიუხედავად იმისა რომ შიო სიღარიბეში ცხოვრობდა და სამსახურიც ძალიან ბევრ დროს ართმევდა, იგი მაინც საკმაო ნაყოფიერებით აწარმოებდა პოეტურ მუშაობას. შიო მღვიმელი მალე გახდა ბავშვების საყვარელი მწერალი.

ქართველმა ხალხმა დაუფასა შიოს ამაგი. 1916 წელს მას, სალიტერატურო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე გადაუხადეს. საბჭოთა ხელისუფლებამ შიოს დამსახურებული მწერლის სახელი მიანიჭა.

1923 წლიდან შიოს არ უმსახურნია. ცხოვრობდა თავის ოჯახში და ეწეოდა შემოქმედებით მუშაობას. 1933 წლის 28 დეკემბერს შიო მღვიმელი გარდაიცვალა.

მეფის თვითმპყრობელობის მიერ წელშიგატეხილი და დაჩაგრული საქართველო შიო მღვიმელში ბადებდა სამშობლოსა და დედაენის დაცვისა და სიყვარულის გრძნობას.

შიო მღვიმელი და თვით მოზრდილობათვის დაწერილი მისი ლექსების გმირები, პირველყოვლისა, თავდადებულად იბრძვიან დაჩაგრული სამშობლოს თავისუფლებისთვის. მაშინ, როცა ეს ლექსები იწერებოდა, საქართველო თვითმპყრობელობის უღლების ქვეშ გმინავდა. შეგნება იმისა, რომ სამშობლო დაჩაგრულია და მისი თავისუფლებისთვის საჭიროა ბრძოლა, პოეტში აძლიერებდა მეორე დიდ შეგნებას, შეგნებას იმისას, რომ საჭიროა ბრძოლა ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ, ბრძოლა ღარიბთა და ღატაკთა კეთილდღეობისთვის.

შიო მღვიმელის იდეალი იყო თავისუფალი სამშობლო, თავისუფალი შრომა-პოეტს სწამდა გამარჯვება და მომავალი: მაგრამ კონკრეტულად, თუ როგორი იქნებოდა მომავალი, თავისუფალი საქართველო და თავისუფალი შრომა, შიო ამის შესახებ გარკვეულად არაფერს ლაპარაკობს. მის ლექსებში მაინც ჩანს, რომ შიო მღვიმელის იდეალი თავისუფალ შრომასა და თავისუფალ საქართველოზე არ შორდებოდა წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიულ იდეალებს.

შიო მღვიმელი თავის საბავშვო ლექსებში ბოროტებას ყოველთვის გმობდა და ცდილობდა ბავშვებს მთელი არსებით შეზიზღებოდათ იგი. ამავე დროს შიო მღვიმელი ბავშვებს აყვარებდა ყოველგვარ კეთილ საქმეს, თავისუფლებასა და სიამაყეს.

შიო მღვიმელის საბავშვო პოეზიას ორი დიდი ობიექტი ამოძრავებს, აძლევს ეშხსა და სილამაზეს. ეს არის ბავშვი და ბუნება. ბავშვისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულებაში შიო უფრო რელიეფურად იძლევა ცალკე ბავშვის ბუნებასა და ხასიათს და ცალკე ბუნების სიმშვენიერეს და ცხოველმყოფელობას.

შიოს თავის შემოქმედებაში თითქმის ბავშვების არცერთი ქცევა, სურვილი და მოქმედება არ აქვს უყურადღებოდ დატოვებული. პოეტი ბავშვთა სამყაროს თავისი მრავალფეროვანებით იძლევა. პოეტს მხედველობიდან არ ეპარება სულ პატარა ფეხს რომ იდგამს, ისეთი ბავშვებიც კი. შიო ნათელი, მიმზიდველი ფერებით იძლევა ბავშვთა უმანკოებისა და გულუბრყვილობის სურათებს.

ბავშვების ურთიერთობა მშობლებთან და ახლობლებთან, ბავშვების დამოკიდებულება ყვავილებთან და ფრინველებთან შიო მღვიმელის საბავშვო ლექსებში ღრმა ლირიკული გრძნობებით და დაუფიწყარი ფერებითაა მოცემული.

ბუნება შიოს ლექსებში თავისი მრავალფეროვანებით ცოცხლობს. პოეტი ბუნებას ზერეულად კი არ უყურებს, არამედ ბუნებაში ღრმად იხედება, ისე, როგორც ჭეშმარიტი პოეტი ადამიანის გულში.

ჩვენი დროის მზიანმა დღეებმა შიო მღვიმელს მოხუცებულობაში მოუსწრო. მართალია მას ამდროს არ მოსდევდა ჯიანი, მაგრამ მაინც ჭაბუკური ალტყინებით გამოეხმაურა საბჭოთა ქვეყნის მზიურ სწრაფვას, მის შინაარსიან დღეებს და შეძლებისამებრ ამაგიც დასდო ქართულ საბჭოთა საბავშვო პოეზიას. პოეტს ახარებდა ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ბავშვების წარმატებანი. ამ სიხარულით შიომ დაგვიხატა ცოცხალი პიონერები და ოქტომბრელები, რომელთათვისაც ცოდნის მიღება მთავარი საქმე შეიქნა.

თავისი თემატიკით, საგნების ხილვის თავისებურობით, სადა, მხატვრული ენით, ბავშვის ბუნების ღრმა ცოდნითა და ლამაზ ლექსებში ოსტატურად მისი გადმოცემით, შიო მღვიმელმა სამართლიანად დაიმსახურა ქართული საბავშვო პოეზიის კლასიკოსის სახელი.

ბიბლიოგრაფია

„МОЛОДЫЕ ПОЭТЫ ГРУЗИИ“

ლექსების კრებული, გამოცემული მოსკოვში 1928 წელს, სახელმწიფო გამომცემლობა „ხულოშისტვენანია ლიტერატურა“, ვ. გოლცემის რედაქციითა და შენიშვნებით

რუსული მხატვრული ლიტერატურის წიგნის ბაზარზე გამოვიდა ახალგაზრდა ნიჭიერი ქართველი პოეტების ირ. აბაშიძის, გრ. აბაშიძის, ალ. გომიაშვილისა და გ. კაჭახიძის ლექსთა კრებული. თარგმანი შესრულებულია ბ. ბრიკის, ვ. დოლმატოვსკის, კ. ლიბსკეროვის, ბ. პასტერნაკის, ბ. სერგებრიაკოვის და ნ. ტიხონოვის მიერ.

ამ წიგნის გამოსვლას რუსი მკითხველისთვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს. ის ეცნობა უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში სამწერლო ასპარეზზე გამოსულ ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტთა ნაწარმოებებს, რომელთაც გააჩნიათ საკმაო პოეტური ძალა და მხატვრული გამოსახვის საშუალებანი. ეს პოეტები (ირ. აბაშიძე, ალ. გომიაშვილი, გრ. აბაშიძე, გ. კაჭახიძე) ყველაზე მეტ ყურადღებას იპყრობენ იმ ახალგაზრდა პოეტებიდან, რომლებიც გაბედულად და დაუინებით აწარმოებენ თავიანთი დამოუკიდებელი ლიტერატურული სახის ჩამოყალიბებას, მხატვრულ თავისებურებათა გამომჟღავნებას.

ეს ლიტერატურული თაობა (თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ) გამოვიდა ქართული საბჭოთა პოეზიის იმ რევოლუციონური რომანტიზმისა და პოლიტიკური ლირიკის მგზნებარე ატმოსფეროში, რომელიც შექმნა წინა თაობამ და რაც ჩვენი საბჭოთა პოეზიის წამყვან ძალად გადაიქცა.

ამ ახალგაზრდა პოეტებს აქვთ ნიჭიერად დაწერილი, პოლიტიკურად მახვილი, მხატვრულად მნიშვნელოვანი ლექსები, რომლებიც უკვე კარგახანია, რაც ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრივობის ყურადღებას იპყრობენ. მაგრამ მათი ლექსებისთვის, გარდა პოლიტიკური სიმახვილისა, დამახასიათებელია აგრეთვე მხატვრული, კოლორიტული თავისებურებანიც, რის გამოც ისინი ერთმანეთს არ ჰგვანან.

ირ. აბაშიძე უფრო გარკვეული წარმომადგენელია პოლიტიკური ლირიკული პოეზიისა, რომლისთვისაც კლასობრივ სიმახვილესთან ერთად დამახასიათებელია პოლიტიკური აქტუალობა.

ალ. გომიაშვილი მიყვება მთის პოეზიის მხატვრულ ტრადიციას, იმ განსხვავებით, რომ შედარებით ნაკლებად იყენებს კუთხურ კოლორიტულ ლექსიკონს და ახალი მთის დამახასიათებელი ყოფის მხატვრულ ინტერპრეტაციასთან ერთად ამუშავებს ზოგად აქტუალურ პოლიტიკურ თემებსაც.

გ. კაჭახიძემ მკითხველის ყურადღება მიიპყრო სადა ლირიკული ლექსებით. მის ლექსებში ყველაზე მეტად სჩანს აღებულ გარემო პირობების ინტიმური კუთხით დანახვა, ყოფითი ხასიათების მხატვრული განსხეულება. ამ გზით აღწევს ის ლექსში ლირიკულ სიბოძს.

ნიჭიერმა ახალგაზრდა პოეტმა გრ. აბაშიძემ პირველი ლექსებითვე მიიქცია ყურადღება. მისი ლექსი ფორმის მხრივ სადაა, შინაარსობრივად დახვეწილია და შეკრული. გრ. აბაშიძის პოეზიაში განსაკუთრებული ყურადღების ღირსია პოემა „შავი ქალაქის გაზაფხული“: პოემაში რელიეფურად და ნათელი ფერებით გვიჩვენა ამხანაგ

სტალინის უდიდესი როლი მუშათა რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე საქართველოს ერთერთ საწარმოო ცენტრში, სადაც სტალინს შეაქვს რევოლუციური შეგნება მუშებში და ხდება მათი იდეური ბელადი, ორგანიზატორი და მეთაური. კრებულში მოთავსებული ლექსები კარგადაა შერჩეული, აღებულია ავტორთა შემოქმედებიდან საუკეთესო ლექსები. თარგმანი მაღალხარისხოვნად არის შესრულებული. ეტყობა მთარგმნელები და რედაქტორი საქმეს პასუხისმგებლობითა და სიყვარულით მოჰკიდებინან.

წიგნი გამოცემულია ვ. გოლცევის რედაქციითა და შენიშვნებით. შეიცავს 170 გვერდს, ღირს ყდით 3 მან. 50 კაპ. დ. შ.

ჰაინრიხ ჰაინე — ლექსები

თარგმნილი გერმანულიდან ზარიტონ ვარდოშვილის მიერ; ფედერაცია, 1938 წ.

ქართული თარგმნილი ლიტერატურა მეტად ღარიბია მსოფლიოს კლასიკოსთა ნაწერებით. თუ არაფერს ვიტყვით ისეთ შესანიშნავ ნაწარმოებთა უქონლობაზე. როგორცაა „ილიადა“ და „ოდისეა“, „კალაველა“, „ენეიდა“ და სხვა მრავალი, დღემდის არ გვქონდა ქართულად ჩვენთვის ყველაზე ახლობელი და საყვარელი პოეტის ჰაინეს მთავარი ლექსების კრებულიც კი. მიუხედავად იმისა, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში არ ყოფილა თითქმის ისეთი ქართველი პოეტი, რომელსაც ჰაინე არ ეთარგმნოს, ან მისი ნიჭის შთამაგონებელი ძალა არ განეცადოს, მაინც მისი ხეირიანად თარგმნა დღემდის ვერ მოხერხდა.

ჰაინეს ლექსთა კრებულის გამოცემა მხოლოდ საბჭოთა საქართველოს პირობებში გახდა შესაძლებელი. ჰაინეს გამოცემა ქართული საბჭოთა კულტურის ფრონტზე მორიგი გამარჯვებაა. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ჰაინეს ყველაზე მეტად ჩვენს ქვეყანაში აფასებენ, მაშინ, როდესაც მის სამშობლოში ამ ბუმბერაზი პოეტის სახელის ხსენებაც კი აკრძალულია.

სარეცენზიო კრებულში მოთავსებული ლექსების თარგმანი ეკუთვნის პოეტს ზარიტონ ვარდოშვილს.

„ჰაინე ისეთი მრავალფეროვანი მწერალია, რომ მისი სრული სახით შემოყვანა საქართველოში ჯერ კიდევ დიდი შემოქმედების მუშაობას მოითხოვს“ — წერს მთარგმნელი წიგნის წინასიტყვაობაში. ეს სავსებით მართალია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ თვით ამ მცირეოდენმა ნაწილმა, რომელიც ამ წიგნშია წარმოდგენილი, უდიდესი ენერჯის დახარჯვა და ხანგრძლივი შეოქმედებითი მუშაობა მოითხოვს. მთარგმნელის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ის, რაც ამ კრებულშია მოთავსებული, საერთოდ დიდი კეთილსინდისიერებითა და მაღალი მხატვრული ოსტატობითაა თარგმნილი.

წიგნი წარმოადგენს ჰაინეს მთავარი ლექსების კრებულის „სიმღერების წიგნის“ ნაწილობრივ თარგმანს (გერმანულად პირველად გამოვიდა 1827 წელს). მასში მოთავსებულია ლექსთა შემდეგი ციკლები: ჰაბუკუბის ვნებანი, ლირიული ინტერმედიები დაბრუნება სამშობლოში, მოგზაურობა ჰარცხე, ახალი გაზაფხული და სხვ.

ზარიტონ ვარდოშვილის მიერ თარგმნილი ლექსების უდიდესი ნაწილი უთუოდ ნიმუშად დარჩება ქართულ თარგმნითი ლიტერატურის ისტორიაში.

ვარდოშვილის მიერ თარგმნილი ლექსების უდიდესი უმრავლესობა ძალიან ახლოა ორიგინალთან. მათგან მეტი ნაწილი თითქმის მთლიანად ემთხვევა დედანს. ასეთებია მაგალითად: „სიზმრები“ („ჰაბუკუბის ოცნებათა ციკლიდან“), „ლონა კლარა“ („დაბრუნება სამშობლოში“), სონეტები („ჩვეულებად მაქვს“, „ერთხელ დაგტოვე“), „ფიქრები“ და სხვ.

კრებულში მოთავსებულია ზოგიერთი ლექსი იშვიათი ოსტატობით არის თარგმნილი. მაგალითად, როგორ მკვეთრად იგრძნობა ჰაინეს პოლიტიკური სატირის თავისებური მგელსავი ტონი ბურჟუების გერმანიისადმი მიმართულ ამ ლექსში:

აქ რუხია ზეცა მარად
და ქალაქიც სევდის მგვრელი.
ელბაში სჩანს მისი უშნო,
ანარეკლი საძაგელი.
ფარისცველ ხალხთა გროვა
აქ ამყოფს ფლიდი გულით.
იწმენდავენ მოგრძო ცხვირებს
და დადიან გაბღინძული.
ვიშ სამხრეთო, რა-რიგ ვეტრფი
მე შენს ზეცას და შენს ღმერთებს,
აქ ამ ხალხთან, ამ მიწასთან
არაფერი არ მაერთებს.

მთელი წიგნის მანძილზე, მთარგმნელი არსად არცერთ ლექსში არ ღალატობს ქართულ ენას, მის კანონებს, არ იყენებს პროვინციალიზმებსა და ბარბარიზმებს და არც დიდი რაოდენობით ესესხება ძველი ქართულის სიტყვიერ საგანძურს. სწორედ ამის გამოა, რომ ასეთი შეუწელებელი ინტერესითა და სიამოვნებით იკითხება ეს მთარგმანები და ამანვე შეუწყო ხელი ჰაინეს თაყვანისმცემლებში მისი ასე გულთბილად მიღებას.

მაგრამ კრებულში მაინც არის სუსტი თარგმანები. კერძოდ ეს უნდა ითქვას „ლირიული ინტერმეცოს“ ზოგიერთი ლექსის თარგმანზე. მეტად უფერულად არის თარგმნილი შემდეგი ლექსები: „ვარსკვლავები ათასწლობით“, „მოაყრდენ მტკიცედ ჩემს ლოყას ლოყა“ და სხვ. ჰაინეს უშესანიშნავესი სიმღერა „ლორელი“, რომელსაც მთელი გერმანელი ხალხი მღერის, ოდნავადაც ვერ გადმოგვცემს დედნის სიმშვენიერესა და სინაზეს. ასევეა თარგმნილი არანაკლებ ცნობილი იდილია „ჩრდილოეთში ერთი ფიქვი“.

მიუხედავად ამ მცირე ნაკლისა, ჰაინეს კრებულის ქართულ ენაზე გამოცემა უდიდესი მოვლენაა ჩვენს ლიტერატურულ სინამდვილეში. საქირთა მხოლოდ ამას დაემატოს კიდევ დანარჩენი ნაწილი „სიმღერათა წიგნიდან“, გადამუშავებულ იქნას სუსტად თარგმნილი ლექსები, რათა მისი მეორე გამოცემა უნაკლო მივიღოთ.

8. მამულაფილი.

შ. დადიანი. „ნ ა ვ ე რ წ კ ლ ი დ ა ნ“.

1988 წ. „ფედერაციის“, გამოცემა.

შალვა დადიანი თანამედროვე მკითხველის ყურადღებას იპყრობს მრავალმხრივი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობით. მან გრძელი და საინტერესო შემოქმედებითი გზა გაიარა. სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე შალვა დადიანმა ყურადღება მიიქცია, როგორც რეალისტურად მოაზროვნე და სოციალური კითხვებით დაინტერესებულმა მხატვრული სიტყვის ოსტატმა.

სოციალიზმის ეპოქაში შ. დადიანმა თავისი მხატვრული მეთოდი თვისობრივად მაღალ საფეხურზე აიყვანა და საბჭოთა ლიტერატურა გაამდიდრა ახალი მხატვრული ნაწარმოებებით, როგორც პროზის, ისე დრამატურგიის სფეროში. ამიერიდან მისმა ნაწარმოებებმა მხატვრულ ძალასთან ერთად შეიძინეს უფრო მეტად ღრმა სოციალური შინაარსი. ამ გზით შ. დადიანი გახდა სოციალისტური რეალიზმის სტილის ერთერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად.

ამ მხრივ შალვა დადიანის ნაწარმოებებიდან გამოირჩევა პიესა „ნაპერწყლიდან“. ეს პიესა დაწერილია აშ. ლ. პ. ბერიას ისტორიული მოხსენების („ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“) შთაგონებით და სამართლიანად იმსახურებს საბჭოთა მაყურებლისა და მკითხველის ცხოველ ინტერესს.

პიესა „ნაპერწყლიდან“ მძაფრი პოლიტიკური და ისტორიული ნაწარმოებია: ძლიერი იდეურ-ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით, ისტორიული სიმართლის დაცვითა და მკაფიო მხატვრული ფერებით ასახავს ის ახალგაზრდა სტალინის თანმიმდევრულად შეურიგებელ ბრძოლას ამიერკავკასიის ლენინურ ისკრული ორგანიზაციის შექმნისთვის. დრამატურგი ღრმად ჩასწვდა აღებულ ისტორიულ ეპოქას და უდიდესი მხატვრული სიმართლით გვიჩვენა საქართველოს მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის გარიჟრაჟი, მისი წრეობრივი კარჩაკეტილობიდან, ვიწრო საგანმანათლებლო მუშაობიდან ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ფართო მასობრივ პოლიტიკურ ბრძოლაზე გადასვლა ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით.

პიესის კონკრეტულ თემად აღებულია ბათუმის 1901-1902 წლის ამბები. 900-იანი წლების დასასრულს „მესამე დასის“ უმცირესობამ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით „მესამე დასის“ უმრავლესობასთან გადამჭრელი ბრძოლის საფუძველზე ტფილისში შესძლო გაეფართოებინა თავისი გავლენა მუშათა მასებში და სოციალ-დემოკრატიულ წრეებში, გადაეყვანა ისინი მასობრივ აგიტაციებზე და პოლიტიკურ ბრძოლაზე, მაგრამ ბათუმში, რომელიც მაშინ ერთერთი მნიშვნელოვანი საწარმოო ცენტრი იყო, მუშებზე ჯერ კიდევ „მესამე დასის“ უმრავლესობა ბატონობდა და თითქმის სრულიად არ არსებობდა ტფილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის გავლენა. „1899-1900 წლებში, — ამბობს ამხ. ლ. ბერია, — ბათუმში იმყოფებოდნენ კარლო ჩხეიძე და ისიდორე რამიშვილი — „მესამე დასის“ უმრავლესობის მომხრეები, რომელნიც „ლეგალური მარქსიზმის“ პროზიციებზე იდგნენ და უარყოფდნენ მუშათა კლასის არა-ლეგალური პარტიული ორგანიზაციისა და რევოლუციური პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობას“.

„მესამე დასის“ უმრავლესობის ეს პოლიტიკური ოპორტუნიზმი, რომელიც დამკვირვებელთა წისკელზე ასხამდა წყალს, — ნათელ გამოხატულებას ჰპოულობდა საკვირაო სკოლებში. აი როგორ ახასიათებენ მუშები ამ საკვირაო სკოლას; პიესაში ვკითხულობთ:

„და ვ ი თ, რომ დავდიოდი, რა გამოვიტანე?.. ვარსკვლავთმრიცხველობას გვასწავლიდნენ, ასტრონომიას... ვარსკვლავები რათ მინდა მე... აგერ მუშა რომ ვარ, ჩემ გაჭირვებას რა მოუხდება, ის გამაგებინონ...“

კ ო ტ ე. მართალია, — იქ პირუტყვების ამბებსაც გვიყვებიან... კარლო ჩხეიძემ ერთხელ ძაღლების ცხოვრებაც აგვიწერა...

და ვ ი თ. კაია, შენი ჭკრიმე... ძაღლები რად მინდა, ჩვენ ძაღლურ ცხოვრებას რა მოუხდება, ის მითხრას...

დრამატურგმა შ. დადიანმა ამ მოკლე დიალოგში საუცხოოდ გადმოგვცა მუშათა განწყობილება, რომლებიც საკუთარი ცხოვრების მწარე გამოცდილებით დარწმუნდნენ ძველი მეთოდებით მუშაობის უეარგისობაში, და გააშიშვლა „მესამე დასის“ უმრავლესობის პოლიტიკური უსუსურობა და ოპორტუნიზმი. და აი ასეთ დროს ბათუმში, თბილისის კომიტეტის დავალებით ჩადის ახალგაზრდა სტალინი, უშუალოდ უკავშირდება იგი მოწინავე მუშებს, აყალიბებს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას და ჰქმნის შოწინავე მუშებისაგან ხელმძღვანელ ჯგუფს, რომელიც მოქმედებდა მისი მითითებებითა და მეთაურობით. ამხანაგ სტალინს მუშებში შეჰქონდა ლენინურ-ისკრული შეგნება. სტალინმა ჩააბა ბათუმის მუშათა ფართო მასა რევოლუციურ მოძრაობაში, მან აღზარდა ის პოლიტიკურად და შეიტანა ამ მასაში იმის მტკიცე შეგნება, რომ მუშათა კლასის ეკონომიური კეთილდღეობა და პოლიტიკური თავისუფლება შესაძლებელია მოპოვებულ იქნას მხოლოდ მაშინ, როცა მუშათა კლასი ძალდატანებით დაამხოვს ცარიზმსა და კაპიტალის ბატონობას და საკუთარ ხელში აიღებს ძალაუფლებას.

ეს დიდი მოძრაობა უდევს საფუძვლად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შ. დადიანის პიესას „ნაპერწყლიდან“. ეპოქა მეტად რთული იყო და მასალა საპასუხისმგებლო; რამდენადაც მუშათა კლასის გმირული წარსული უხვ მასალას აძლევდა მწერალს შექმედებითი ფანტაზიის გაშლისა და დრამატიზმით გამძაფრებული სურათების, სა-

ტუაციებისა და ხასიათების მოცემისთვის, — იმდენად მკაცრად უნდა დაეცვა შას ის ტორიულ პირთა მოქმედებისა და ამბების ვითარებაში სიზუსტე და თანმიმდევრობა, რათა ნაწარმოების მხატვრული სიმართლე მის ისტორიულ და იდეურ მხარესთან ყოფილიყო დაკავშირებული.

შალვა დადიანის მხატვრულმა ძალამ და რეალისტურმა ალლომ ამ პოემაში ზრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია. ავტორი ლოდიკურად მისდევს ფაქტებს, მხატვრულად და ისტორიული სიზუსტით გვიჩვენებს, თუ როგორ მოემზადა სტიქიურად გამოდგომილი მუშათა კლასი შეგნებული პოლიტიკური ბრძოლისთვის და ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

მწერლის მხატვრულ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან ძლიერი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით გააცოცხლა თანამედროვე მკითხველის წინაშე ისტორიული ამბები, გვიჩვენა ამ ამბების ტიპური ხასიათები, კოლორიტული თავისებურებანი, გვიჩვენა იმდროინდელი ბათომი, მისი პირველი რევოლუციური ამოძრავება და საბრძოლო ნათლობა. გრძნობითი უშუალოდ არის გამთბარი პიესის ფინალი — მუშათა კლასის დიდი ბელადის ლენინისა და სტალინის პირველი შეხვედრა ტამერფორსის კონფერენციაზე.

პიესაში ოსტატურადაა ჩართული ლირიკული და რომანტიული სიტუაციები, რომელნიც ორგანიულად დაკავშირებულია პიესის პოლიტიკურ ხერხემალთან. პოლიტიკურ მოვლენათა საინტერესო ასახვასთან ერთად ავტორი გვიხატავს მუშათა ყოფას, მუშურ ოჯახს, განსაკუთრებით ეფექტურადაა გადმოცემული მუშა ქალთა თავგანწირული ბრძოლა, რომელნიც მამაკაცებთან ერთად ძველი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლის მოწინავე პოზიციაზე დგანან. პიესაში ნაჩვენებია მთელი გაღერა გმირული ტიპებისა და ხასიათებისა, მტკიცე ნებისყოფის ადამიანებისა, რომელთაც ფოლადის ხელით რაზმავდა და აწრთობდა დიდი ბრძოლებისთვის ახალგაზრდა სტალინი. შეორეს მხრივ, პიესაში მძაფრი რეალისტური ფერებითა და სატირული განხრით წარმოდგენილი არიან მოწინააღმდეგე ბანაკის — გაბატონებული კლასის წარმომადგენლები. შალვა დადიანმა, — იმდროინდელი ცხოვრების საუკეთესოდ მცოდნე მწერალმა, დახატა ამ კლასის მთელი გახრწილება და ველური ექსპლოატატორული ბუნება.

დასასრულს გვინდა შევეხოთ კიდევ ხსენებული პიესის ერთ ღირსებას. შ. დადიანი საერთოდ ცნობილია, როგორც ისეთი დრამატურგი, რომელიც დაუფლებულია სცენის ყველა „საიდუმლოებას“, ამიტომ მისი პიესები თითქმის ყოველთვის სცენიურად კარგადაა დაწერილი და რეჟისორს, აქტიორს, მხატვარს საშუალებას აძლევენ საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობის გაშლისთვის. „ნაპერწყლიდან“ არ არის შოკლებული ამ ღირსებას, მაგრამ ყურადღებას იქცევს, უფრო როგორც ლიტერატურული ფაქტი, საკითხავი მხატვრული ნაწარმოები.

შ. ა.